

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის «ღაფუშნებელი მამები»

აკადემიის მართვა



ნიკო მუსხელიშვილი



გიორგი ახვლედიანი



ივანე ბერიტაშვილი



კირია ჯავრიევი



ფილიპ ზაიცევი



ალექსანდრე თვალჭრელიძე



კორნელი კეკელიძე



ნიკო კეცხოველი




ტარასი კვარაცხელია



დimitრი უზნაძე



აკაკი შანიძე



არნოლდ ჩიქობავა



გიორგი ჩუბინაშვილი



გიორგი ხაჭაპურიძე



სიმონ ჯანაშია



ალექსანდრე ჯანელიძე

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია ღაფუშნება

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს 1941 წლის 10 თებერვლის № 183 დადგენილებით, შეიქმნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, როგორც დადგენილებაში ნათქვამი საქართველოში სამეცნიერო-კვლევითი საქმის განვითარებისა და რესპუბლიკაში არსებული ყველა სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების ერთიან მმართველობით ცენტრში გაერთიანების მიზნით. მას გადაეცა საბჭოთა კავშირის აკადემიის ქართული ფილიალის ყველა დაწესებულება, აგრეთვე განათლების სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული საქართველოს მუზეუმი, თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან: გეოლოგიის ინსტიტუტი, ფიზიოლოგიის ინსტიტუტი, ფსიქოლოგიის ლაბორატორია და სხვ. აკადემიის წევრთა რაოდენობა განისაზღვრა 16 კაცის ოდენობით. მათ შესარჩევად შეიქმნა სამთავრობო კომისია, სადაც კანდიდატურების წარდგენის ვადა იყო 20 თებერვალი. სამთავრობო კომისიაში შედიოდნენ: საქართველოს განათლების სახალხო კომისარი, გ.ი.კიკნაძე, ი.კ.თავაძე, დ.ს.ყიფშიძე (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი), აკადემიკოსი ნ.ი. მუსხელიშვილი, აკადემიკოსი ი.ს.ბერიტაშვილი, პროფესორი ს.ნ.ჯანაშია და პროფესორი გ.ს.ახვლედიანი.

1941 წლის 22 თებერვალს დამტკიცდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრთა 16 კა-

ციანი შემადგენლობა: ნიკოლოზ მუსხელიშვილი, გიორგი ახვლედიანი, ივანე ბერიტაშვილი, კირია ჯავრიევი, ფილიპ ზაიცევი, ალექსანდრე თვალჭრელიძე, კორნელი კეკელიძე, ნიკოლოზ კეცხოველი, ტარასი კვარაცხელია, დimitრი უზნაძე, აკაკი შანიძე, არნოლდ ჩიქობავა, გიორგი ჩუბინაშვილი, გიორგი ხაჭაპურიძე, სიმონ ჯანაშია, ალექსანდრე ჯანელიძე. 1941 წლის 26 თებერვალს აკადემიის საერთო კრებამ აირჩია პრეზიდიუმი: ნ. მუსხელიშვილი (პრეზიდენტი), გ. ახვლედიანი, ივ. ბერიტაშვილი, კ. ჯავრიევი, ნ. კეცხოველი, ს. ჯანაშია (ვიცე-პრეზიდენტი), ა. ჯანელიძე. 1944 წლის წლის 6 იანვარს მეორე ვიცე-პრეზიდენტად ნ. კეცხოველი, ხოლო, 1945 წლის 5 ნოემბერს აკადემიკოს მდივნად გ. ახვლედიანი აირჩიეს. 1944 წელს რიგგარეშე არჩევნებით აკადემიას 14 წევრი და 13 წევრ-კორესპონდენტი დამატა. ესენი იყვნენ: აკადემიკოსები: ნიკო ბერენიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, ვარლამ თოფურია, გიორგი ლეონიძე, შალვა ნუცუბიძე, გალაკტიონ ტაბიძე, პეტრე შარია, ლეო დავითაშვილი, ალექსანდრე დიდუბელიძე, გიორგი მუხაძე, ალექსანდრე ნათიშვილი, გრიგოლ წულუკიძე, ალექსანდრე ჯავახიშვილი; წევრ-კორესპონდენტები: კარპეზ დონდუა, ბორის კუფტინი, გიორგი ჩიტაია, გიორგი წერეთელი, გიორგი გედევანიშვილი, ილია ვეკუა, ივანე კაჭარავა, პეტრე ქომეთიანი, იოველ ქუთათელაძე, ვლადიმერ გულისაშვილი, ლეონარდ დეკაპრელიევიჩი, მიხეილ საბაშვილი, დimitრი სოსნოვსკი.

აკადემიას ხელმძღვანელობენ საერთო კრება, პრეზიდიუმი და პრეზიდენტი.

დღესდღეობით, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმი შედგება 18 წევრისგან: აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი როინ მეტრეველი; ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი რამაზ ხუროძე; აკადემიის აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა; აკადემიის გენერალური მრჩეველი, აკადემიკოსი გიორგი კვეციანიძე; აკადემიკოსები: თამაზ ჭელიძე; ელიზბარ ჯავახიშვილი; ლიანა მელიქიშვილი; რამაზ ხეცურიანი; თინათინ სალუნიშვილი; ელგუჯა მექმარიაშვილი; ვლადიმერ ციციშვილი; ავთანდილ კორახაშვილი; გიორგი ჯაფარიძე; ჯონი ხეცურიანი; თამაზ შილაკაძე; დავით გურგენიძე; ჯაბა სამუშია; ხვედრი ინასარიძე.

2023 წლიდან

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი



აკადემიკოსი **როინ მჭრავალი**.
დ. 7 დეკემბერი, 1939, დაბა აბასთუმანი, ადიგენის მუნიციპალიტეტი – ქართველი ისტორიკოსი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი



აკადემიკოსი **რამაზ ხუროძე**
დ. 9 ნოემბერი, 1944, თბილისი – ქართველი ინჟინერი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოს-მდივანი



აკადემიკოსი **ვლადიმერ პაპავა**
დ. 25 მარტი, 1955, თბილისი – ქართველი ეკონომისტი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტები (1941-2023 წწ.)

1941–1972 წწ.



ნიკოლოზ (ნიკო) მუსხელიშვილი

დ. 16 თებერვალი [ძვ.სტ. 4 თებერვალი], 1891, თბილისი – გ. 15 ივლისი, 1976, თბილისი – ქართველი მათემატიკოსი და მექანიკოსი. დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონში

1972–1977 წწ.



ილია ვეკუა

დ. 6 მაისი [ძვ.სტ. 23 აპრილი], 1907, პირველი შუშეთი, სოხუმის ოკრუგი (ამჟამად გალის მუნიციპალიტეტი) – გ. 2 დეკემბერი, 1977, თბილისი – ქართველი მათემატიკოსი და მექანიკოსი. დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონში

1978–1986 წწ.



ზვიადი სარამა

დ. 31 ოქტომბერი [ძვ.სტ. 18 ოქტომბერი], 1907, თბილისი – გ. 10 ოქტომბერი, 2001, თბილისი – ქართველი ასტრონომი. დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში

1986–2004 წწ.



ალზარტ თავაელიძე

დ. 16 დეკემბერი, 1930, თბილისი – გ. 27 თებერვალი, 2010, მოსკოვი – ქართველი ფიზიკოსი დაკრძალულია მოსკოვში, ტროეკუროვსკოეს სასაფლაოზე

2005–2012 წწ.



თამაზ გამყარელიძე

დ. 23 ოქტომბერი, 1929, ქუთაისი – გ. 10 თებერვალი, 2021, თბილისი – ქართველი ენათმეცნიერი დაკრძალულია თბილისში, ვაკე-საბურთალოს სასაფლაოზე

2012–2023 წწ.



გიორგი კავსიძე

დ. 30 მაისი, 1942, თბილისი – ქართველი ბიოლოგი

აკადემიის სტატუსი და სტრუქტურა

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის არსებული სტატუსი კანონმდებლობითაა განსაზღვრული. აკადემია არის: 1. წევრობაზე დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომლის წევრები არიან აკადემიის ნამდვილი წევრები (აკადემიკოსები), აკადემიის წევრ-კორესპონდენტები, საპატიო აკადემიკოსები და აკადემიის უცხოელი წევრები. 2. თვითმართვადი სამეცნიერო დაწესებულება, რომელიც დამოუკიდებლად ამტკიცებს აკადემიის წესდებებს, განსაზღვრავს თავის სტრუქტურას, წყვეტს აკადემიის სამეცნიერო-საორგანიზაციო, საკადრო, ეკონომიკურ და საერთაშორისო თანამშრომლობის საკითხებს და 3. საქართველოს მთავრობის მეცნიერული მრჩეველი. (2007 წლის 14 დეკემბრის საქართველოს კანონი „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ“ მუხლი 3).

მანამდე მეცნიერებათა აკადემიის სტატუსი რამდენიმეჯერ შეიცვალა. საბჭოთა კავშირის დროს, დღიდან დაარსებისა, ვიდრე 1991 წლამდე საქართველოს მეცნიერებათა აკადემია ჩამოყალიბდა სამეცნიერო დაწესებულებათა უმსხვილეს კომპლექსად, რომელიც ექვემდებარებოდა საბჭოთა ცენტრალიზებულ-გეგმურ მმართველობას და შედიოდა საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ერთიან სისტემაში. ეს იყო მეცნიერების სახელმწიფო სისტემის ნაწილი, მთლიანად დაფინანსებული სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისი მიზნების (მათ შორის მილიტარისტული და იდეოლოგიური) მისაღწევად. საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემია ექვემდებარებოდა საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს – მთავრობას. საქართველოს მეცნიერების მასშტაბები მნიშვნელოვნად გაიზარდა გასული საუკუნის 60-იან, განსაკუთრებით კი – 70-იან წლებში. 1973 წლის 23 დეკემბერს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას გადაეცა რუსთაველის გამზირზე (№ 52) მდებარე, ყოფილი „საქნახშირის“ კომბინატის შენობა.

80-იანი წლების დასაწყისში, მეცნიერების განვითარება საქართველოში შეუქცევად პროცესად ჩანდა, თუმცა, უკვე 80-იანი წლების შუა ხანებში, „პერესტროიკისა“ და „დაჩქარების“ სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური ცვლილებების დროს, გამოჩნდა, რომ სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესში ჩამორჩენისა და მეცნიერების არსებული მოდელის არაეფექტიანობა. მთლიანად საბჭოთა კავშირში

და ბუნებრივია, მის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილში - საქართველოში დაიწყო მეცნიერების რეფორმა, მაგრამ არა სისტემური ცვლილების, არამედ მისი საფინანსო-სამეურნეო მუშაობის გარდაქმნით, სამეცნიერო დაწესებულებების სრულ სამეურნეო ანგარიშზე და თვითდაფინანსებაზე გადაყვანის, მეცნიერ მუშაკთა მატერიალური მოტივაციების ამაღლების მიმართულებით. დაიწყო მობილიზება სახელმწიფო პროგრამების დამუშავებისთვის და 1988 წელს დაიწყო სამიზნე 2000 წლისთვის მათი დამუშავება. აღნიშნულ ცვლილებებს, რომელიც შეიცავდა „ძველოლმევიკურ ნოვაციებს“ – სამეცნიერო ხარისხის გარეშე სამეცნიერო თანამდებობზე დანიშვნის, მეცნიერებაში ხელმძღვანელი თანამდებობის პირებისთვის ასაკობრივი ცენზის დაწესებასა და სხვ. გამოიწვია სისტემის რყევები და რეალური გარდაქმნის ნაცვლად ახალ მოთხოვნებთან ადაპტირება (გაჩნდნენ „ახალგაზრდა“ და მათ მრჩეველად ასაკდაუნუნებული „ძველი“ დირექტორები). მეცნიერებაში ამ პერიოდში მოხდა დაფინანსების ზრდა. საქართველოს მეცნიერებათა დაფინანსება 1990 წელს 60 მლნ. მანეთით, 1987 წლის 47 მლნ. მანეთის ნაცვლად. თუმცა, ამას მეცნიერების ეფექტიანობის შესაბამისი ზრდა არ მოჰყოლია. შემდგომში განვითარებული ეროვნულ-განმათავისუფლებული მოძრაობა, 1989 წლის 9 აპრილის ცნობილი პროცესები, მთლიანად შეეხო მეცნიერებათა აკადემიას. გამომდინარე მისი დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობისა და ავტორიტეტისგან, ის საკმაოდ აღმოჩნდა ჩართული ამ პროცესებში და ფაქტობრივად, 1990 წლიდან მოქმედებდა ავტონომიურად. 1990 წლის 12 მარტს აკადემიის პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში შემავალი ორგანიზაციების დეიდოლოგიზებისა და დეპოლიტიზების შესახებ, ხოლო, იმავე წლის 16 ოქტომბერს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებამ დაადგინა აკადემიის თვითმმართველი სტატუსი. 1990 წლის 24 ოქტომბერს საქართველოს სსრ უზენაესმა საბჭომ გამოსცა ბრძანებულება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისადმი თვითმმართველი ორგანიზაციის მინიჭების შესახებ. დადგინდა, რომ აკადემია იმოქმედებდა მხოლოდ საქართველოს სსრ კანონებითა და აკადემიის წესდებით. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ავტონომიურობა, მისი ფუნქციონირება საქართველოს სამართლებრივ სივრცეში აღიარებულ იქნა. საქართველოში გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყ-

ისში პოლიტიკური, სახელმწიფო, ეკონომიკური კრიზისის გამწვავების გამო დიდი დისპროპორცია შეიქმნა ქართული მეცნიერების შესაძლებლობებსა და მისი დაფინანსების ზომას შორის. სიტუაციას ამსუბუქებდა ხელისუფლებასა და მეცნიერებათა აკადემიას შორის ურთიერთპარტნიორული დამოკიდებულება. აკადემიიდან წარდგენილი პროექტის საფუძველზე, 1994 წლის 14 აგვისტოს გამოიცა ქვეყნის მეთაურის ბრძანებულება „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“. აღნიშნული ბრძანებულებით, მეცნიერებათა აკადემია შენარჩუნდა არსებული სტრუქტურით. განისაზღვრა მისი, სახელმწიფო-ბრივი სტატუსი, რომ ისაა თვითმმართველი საბიუჯეტო დაფინანსებაზე მყოფი სამეცნიერო ორგანიზაცია, რომელიც არის ქვეყანაში ფუნდამენტურ მეცნიერებათა პრიორიტეტულ მიმართულებათა გამსაზღვრელი, სამეცნიერო-კვლევითი სააქტივობის კოორდინატორი და ხელისუფლების მეცნიერული მრჩეველი.

ამ სამართლებრივი აქტით, აკადემიას უსასყიდლო სარგებლობაში გადაეცა სისტემაში არსებული ყველა ქონება, ნება მიეცა ამ ქონების დამოუკიდებლად (მათ შორის სამეურნეო დანიშნულებით) გამოყენებისთვის. მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში შემავალი დაწესებულება – ორგანიზაციების პრივატიზება აიკრძალა.

აკადემიის ეს სტატუსი დადასტურა 1994 წლის 22 ნოემბრის საქართველოს კანონმა: „მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ“.

შემდგომში, 1999 წლის 22 ივნისის საქართველოს კანონით: „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შესახებ“ კანონის შესაბამისად, აკადემია არის საქართველოს უმაღლესი თვითმართვადი სამეცნიერო სახელმწიფო დაწესებულება, ქვეყანაში ფუნდამენტურ მეცნიერებათა პრიორიტეტული მიმართულებების განმსაზღვრელი და სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების კოორდინატორი, საქართველოს ხელისუფლების მეცნიერული მრჩეველი. ის წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომლის დაფინანსება ხდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან და ამ კანონით განსაზღვრული დამატებითი წყაროებიდან. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შემადგენლობაში სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, ცენტრები, სექტორები, ობსერვატორიები, ბოტანიკური ბაღები, ნაკრძალები, სადგურები, სამეცნიერო-კვლევითი ექსპედიციები, ბიბლიოთეკები, მუზეუმები,



საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შენობა 1941-1973 წწ. 8, ინგოროყვას ქუჩა, თბილისი



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შენობა 1973 წლიდან. აშენდა 1953 წელს. არქიტექტორები: მიხეილ ჩხიკვაძე, კონსტანტინე ჩხეიძე 52, რუსთაველის გამზირი, თბილისი.

სპეციალური საკონსტრუქტორო ბუროები საცდელი ნარ- მოებითურთ და სხვა სამეცნიერო დაწესებულებები, გამოცე- მლობა, აგრეთვე დამხმარე სამეცნიერო დაწესებულებები, ორგანიზაციები და სანარმოები.(მუხლი 5). „აკადემიისათვის უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემული მიწის ნაკვეთები და შენობა-ნაგებობები პრივატიზებას არ ექვემდებარება“. (მუხლი 29.პუნქტი 4).

მეცნიერებათა აკადემიამ შეინარჩუნა სტატუსი, ქონე- ბა, მაგრამ მძიმე ფინანსური მდგომარეობისა და დაბალი ანაზღაურების, აგრეთვე მეცნიერ მუშაკთა სისტემური შემ- ცირების გამო, მეცნიერების სისტემის ტრანსფორმაციის აუცილებლობა არავის ეჭვს არ იწვევდა.

მეცნიერების რეფორმირების მრავალ ვარიანტს შო- რის, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის დროს (2003 -2012 წწ.) გაიმარჯვა იმ მიდგომამ, რომ რე- ფორმირების მთავარი ძარღვი მეცნიერების მართვის რეორ- განიზაციაში, კერძოდ, მეცნიერებათა აკადემიის სისტემის დემონტაჟში მდგომარეობს.

საქართველოს მთავრობის 2006 წლის 16 მარტის №58 დადგენილებით „სახელმწიფო სამეცნიერო-კვლევითი დაწე- სებულებათა საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად და- ფუძნების შესახებ“, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნუ- ლი აკადემიის სისტემაში შემავალ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტები გადაკეთდა საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად, რითაც დაიშალა საქართველოს მეცნიერებათა აკ- ადემიის 1941 წლიდან არსებული სისტემა.

ამ დღიდან, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას გამოეყო 60-მდე სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება და იგი ფაქტობრივად გარდაიქმნა ავტონომიურ სახელმწიფო სამეცნიერო დაწესებულებად, რომლის სამოქმედო მიზნები და მათ მისაღწევად გადასაჭრელი ამოცანები განისაზღვრა 2007 წლის 14 დეკემბერს მიღებული საქართველოს კანონით: „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ“.

აკადემიის მიზნები და ამოცანები

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მიზნები გამომდინარეობს მეცნიერების მონოტეორიულად ტრანს- ფორმირების (2006 წლიდან) შემდეგ შექმნილი რეალო- ბიდან და ის მდგომარეობს საქართველოში მეცნიერების განვითარების პროცესების ხელშეწყობაში, საქართველოში მეცნიერების პროგნოზირების წინადადებების შემუშავებაში, ეკონომიკური და სოციალური პროექტების შესახებ ხელისუ- ფლებისა და საზოგადოებისთვის რეკომენდაციების წარდ- გენასა და ქართულ (აგრეთვე აფხაზურ) ენებზე სამეცნიე- რო ტერმინოლოგიის სრულყოფაში (საქართველოს კანონი „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახ- ებ“, მუხლი 4, პუნქტი 1.). კანონმდებლობა განსაზღვრავს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ თუ როგორ უნდა მიაღწიოს აღნიშნულ მიზნებს. ამისთვის ის „ა) ეწევა სამეცნიერო მიღწევათა და მეცნიერული მემკვიდრე- ობის პოპულარიზაციას; ბ) აწყობს სამეცნიერო დისკუსიებს, სიმპოზიუმებსა და კონფერენციებს; ატარებს საჯარო ლე- ქციებს ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიულ და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში; გ) გამოსცემს ბეჭდვით და ელექტრონულ სამეცნიერო ჟურნალებსა და სხვა პერიოდ- ულ გამოცემებს, ახორციელებს სამეცნიერო ლიტერატურის საერთაშორისო გაცვლას; დ) უფლებამოსილია გახდეს საერ- თაშორისო სამეცნიერო ორგანიზაციების წევრი; დაამყაროს კავშირები მსოფლიოს ნამყვან მეცნიერებთან და სამეცნიერო ცენტრებთან; ე) უფლებამოსილია განახორციელოს სამეცნიე- რო-კვლევითი საქმიანობა; ვ) არსებს და ანიჭებს პრემიებს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების დარგებში მნიშვნელოვანი სამეცნიერო სამუშაოების წარმოსაჩენად; ვ1) აწესებს სტი- პენდიებს და წარმატებულ მეცნიერებს, რომლებიც აკადემი- ის წევრები არ არიან, აკადემიის სტიპენდიატებად ირჩევა; ზ) უფლებამოსილია შექმნას კომისიები მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სხვადასხვა დარგებში; თ) უფლებამოსი- ლი პირის წერილობითი მიმართვის საფუძველზე ინახავს მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეთა პირად არქივებს, რომლებიც ფასეულია საქართველოს ისტორიისათვის; ი) გა- ნიხილავს და აფასებს საქართველოს უმაღლესი საგანმანათ- ლებლო დაწესებულებებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინ- სტიტუტების (გარდა საჯარო სამართლის იურიდიული პირისა

– ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტისა) სამეცნიერო საქმიანობის ამსახველ წლიურ ანგარიშებსა და დასრულე- ბულ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს, რისთვისაც უფლე- ბამოსილია ამ ორგანიზაციებისგან გამოითხოვოს საჭირო დამატებითი ინფორმაცია და შეფასებები აცნობოს ამავე ორგანიზაციებს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერე- ბის სამინისტროსა და მეცნიერების განვითარების ფონდებს; კ) დარგების მიხედვით ანიჭებს წლის საუკეთესო სამეცნიე- რო-კვლევითი დაწესებულების ტიტულსა და ჯილდოებს; ლ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორ- ცილებს აკადემიის ამოცანებთან დაკავშირებულ სხვა, მათ შორის, დამხმარე ეკონომიკურ საქმიანობას.(საქართველოს კანონი „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ“, მუხლი 4, პუნქტი 2.).

მეცნიერებათა აკადემიის მარეგულირებელი საკანონ- მდებლო ნორმები ტრანსფორმაციის მიმდინარე პროცესის დროსაა მიღებული და დაგროვილი გამოცდილების გან- ზოგადების საფუძველზე, საჭიროებენ განვითარებას. უკვე ჩანს, მაგალითად საკანონმდებლო დონეზე მეცნიერებათა აკადემიასა და ხელისუფლებას შორის მეცნიერებათა აკა- დემიის მხრიდან სამეცნიერო მრჩევლის ფუნქციის განხორ- ცილების მექანიზმის კონკრეტულად განერის აუცილებლო- ბა. იგივე მდგომარეობაა მეცნიერებათა აკადემიის წინაშე ქვეყანაში სამეცნიერო ანგარიშგების წარმოების სისტემას- თან დაკავშირებით.

მიზნის მიღწევის გზები

მეცნიერებათა აკადემიის წინაშე მდგარი ამოცანების გადაჭრა ხდება მეცნიერების სხვადასხვა დარგების მიხედ- ვით შექმნილი სამეცნიერო განყოფილებების, აკადემიის სისტემაში არსებული სტრუქტურული ერთეულების – ქა- რთული ენციკლოპედიის ირ. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქციის, აკად. გ. წერეთლის სახელობის „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური გამოცემისა და ქართული ენის თესაურუსის კომიტეტის, აკადემიის აჭარის რეგიონუ- ლი სამეცნიერო ცენტრის, აკადემიის პრეზიდენტთან და სამეცნიერო განყოფილებებთან შექმნილი „აკადემიის ამო- ცანებიდან გამომდინარე, კომისიების, ცენტრების, კომი- ტეტების, აგრეთვე, აკადემიის აპარატის, აკადემიასთან არსებული პერიოდული გამოცემების მეშვეობით.

პროგრესს უზრუნველყოფს აკადემიკოსებისა და აკა- დემიის წევრ-კორესპოდენტების კოლექტიური განყოფილე- ბესა და კომისიებში კოლექტიურ მუშაობასთან ერთად, ინ- დივიდუალური მეცნიერული შედეგები.

სამეცნიერო განყოფილებები

მეცნიერებათა აკადემიაში სულ 9 სამეცნიერო განყ- ოფილებაა.

მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება.

აკადემიკოსები: რევაზ გამყრელიძე, ხვედრი ინასარი- ძე, ალექსანდრე კვინიძე, ივანე კილურაძე, ალექსანდრე ნერსისიანი, თორნიკე ქაღვიძელი, ალექსანდრე შენგელაია, გიორგი ჩაგელიძე, ალექსანდრე ხარაზიშვილი, გიორგი ჯანელიძე, გიორგი ჯაფარიძე (აკადემიკოს-მდივანი).

აკადემიის წევრ-კორესპოდენტი: ანზორ ხელაშვილი

დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილება

აკადემიკოსები: ერეკლე გამყრელიძე, რევაზ გაჩეჩი- ლაძე, მიხეილ კაკაბაძე, დავით შენგელია, თამაზ ჭელიძე (აკადემიკოს-მდივანი).

აკადემიის წევრ-კორესპოდენტი: ფერანდო მასაძე

საინჟინრო მეცნიერებათა და ინფორმაციული ტე- ქნოლოგიების განყოფილება

აკადემიკოსები: დავით გურგენიძე, ელგუჯა მემარი- აშვილი, ელიზბარ ნადარაია, თამაზ ნატრიაშვილი, არჩილ ფრანგიშვილი, ქართლოს ყაჭიაშვილი, თამაზ შილაკაძე, რა- მაზ ხუროძე, ლევან ჯაფარიძე.

წევრ-კორესპოდენტები: გიორგი გოგიჩაიშვილი, დე- ვით თავხელიძე

ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილება
აკადემიკოსები: რამაზ გახოკიძე, რამაზ ქაცარავა, ეთერ ქემერტელიძე, ვლადიმერ ციციშვილი (აკადემიკოს- მდივანი), ბეჟან ჭანკვეტაძე

ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილება
აკადემიკოსები: თენგიზ ბერიძე, თენგიზ ზაალიშვი- ლი, გიორგი კვეციანიძე, დავით ლორთქიფანიძე, თინათინ საღვინაშვილი (აკადემიკოს-მდივანი), რამაზ შენგელია.
აკადემიის წევრ-კორესპოდენტი: გიორგი ნახუცრიშ- ვილი.

ფიზიოლოგიისა და მედიცინის განყოფილება
აკადემიკოსები: ნოდარ მითავარია, დავით მიქელაძე, თემურ ნანიშვილი, ზურაბ ქვენიშვილი, რომან შაქარიშ- ვილი, რამაზ ხეცურიანი (აკადემიკოს-მდივანი), შოთა ჯა- ფარიძე
აკადემიის წევრ-კორესპოდენტები: ქეთევან ნემსაძე, ნიკოლოზ ყიფშიძე

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილება
აკადემიკოსები: გივი გავარდაშვილი, გურამ ალექ- სიძე, ავთანდილ კორახაშვილი (აკადემიკოს-მდივანი), სო- ლომონ პავლიაშვილი, ვანო პაპუნიძე.
აკადემიის წევრ-კორესპოდენტი: დიდებულიძე ალექ- სანდრე

საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება
აკადემიკოსები: ომარ გოგიაშვილი, ირაკლი იმედაძე, ვაჟა ლორთქიფანიძე, ლიანა მელიქიშვილი (აკადემიკოს- მდივანი), როინ მეტრეველი, დავით მუსხელიშვილი, ვლადი- მერ პაპავა, ავთანდილ სილაგაძე, მინდია უგრეხელიძე, კონ- სტანტინე ფიცხელაური, ჯონი ხეცურიანი, მიხეილ ჯიბუტი.
აკადემიის წევრ-კორესპოდენტი: დავით ჩარკვიანი.

ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება
აკადემიკოსები: ავთანდილ არაბული, ვალერიან ასა- თიანი, რისმაგ გორდენიანი, ინესა მერაბიშვილი, ჯაბა სამუ- შია, მზექალა შანიძე, ზურაბ წერეთელი, ელგუჯა ხინთიბი- ძე, ელიზბარ ჯაველიძე (აკადემიკოს-მდივანი).
აკადემიის წევრ-კორესპოდენტი: ვაჟა შენგელია.


საპარტოვლოს მაცნეირებათა ეროვნული აკადემიის კალი ვაშკაბი




აკადემიკოსი ლიანა მელიქიშვილი



აკადემიკოსი ინესა მერაბიშვილი




აკადემიკოსი თინათინ საღვინაშვილი



აკადემიკოსი ეთერ ქემერტელიძე



აკადემიკოსი მზექალა შანიძე



წევრ-კორესპოდენტი ქეთევან ნემსაძე

დაუშვებელია!
„საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დაუშვებელია:
– საქართველოში ტერმინის „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია“ გამოყენება ამ კანონში გამოყენებუ- ლისგან განსხვავებული მნიშვნელობით.
– საქართველოში სხვა ნომლიმე აკადემიის წევრი ინოდე- ბოდეს აკადემიკოსად ან წევრ-კორესპოდენტად ან აკადემი- ის წევრად კონკრეტული აკადემიის სრული სახელწოდების მითითების გარეშე, გარდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრისა.



აკადემიკოსები: შ. ნუცუბიძე, ა. ჯანელიძე, გ. ახვლედიანი, ნ. მუსხელიშვილი, ა. ჯავახიშვილი, ი. ბერიტაშვილი, ა. შანიძე

პუბლიკაცია

სამეცნიერო პუბლიკაციები წარმოადგენენ მეცნიერული საქმიანობის მთავარ შედეგს, მასში მატერიალიზდება მეცნიერული ცოდნა, ის ქმნის ერის მეცნიერულ აზროვნებასა და კულტურას, წარმოადგენს საშუალებას მეცნიერების მასობრივი ხელმისაწვდომობისათვის, განათლებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების მოწყობისათვის. 2006 წელს საქართველოს მეცნიერებათა სისტემის დაშლის შემდეგ, აკადემიის ყოველწლიურ ანგარიშებში წარმოდგენილია აკადემიკოსებისა და აკადემიის წევრ-კორესპოდენტების მიერ განუხლები სამეცნიერო, პედაგოგიური, საექსპერტო და სხვ. საქმიანობა, მათ შორის, უპირველესი ყურადღება ეთმობა მათ მიერ განხორციელებულ პუბლიკაციებს. პუბლიკაციები ხელს უწყობს ქვეყანაში მათემატიკის, საბუნებისმეტყველო, სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების, აგრეთვე, ტექნიკისა და ტექნოლოგიების განვითარებას. აკადემიის წევრების ავტორობით მეცნიერების სხვადასხვა დარგში ყოველწლიურად ქვეყნდება საშუალოდ 300 მონოგრაფია, სახელმძღვანელო და სტატია, მათ შორის, უცხოეთის ავტორიტეტულ გამომცემლობებსა და მაღალრეიტინგულ ჟურნალებში. ბოლო წლებში გამოქვეყნებული მონოგრა-

საქართველოში“. გამომცემლობა „Elsevier“- ში (ჰოლანდია) გამოქვეყნდა მისი ვრცელი შრომა „კავკასიის გეოლოგიისა, სეისმობა და სეისმური საშიშროებები“. გეოლოგიაში შრომათა ციკლისთვის: „საქართველოსა და მისი მოსაზღვრე ხმელთაშუა ზღვის (ალპურ-ჰიმალაიური) კოლიზიური სარტყლის გეოლოგიურ-ტექტონიკური აგებულებისა და გეოდინამიკური ევოლუციის კვლევა თეორიულ და გამოყენებით ასპექტში“ 2018 წელს აკად. ერეკლე გამყრელიძეს საქართველოს ეროვნული პრემია მიენიჭა. აკად. ე. გამყრელიძემ და აკად. ნევრ-კორ. ფერანდო მაისაძემ „Shpringer“-ში გამოსცეს მონოგრაფია: „საქართველოს გეოტურიზმის პოტენციალი (ისტორია, კულტურა, გეოლოგია, გეოტურისტული მარშრუტები და გეოპარკები“. პეტროლოგიის დარგში მნიშვნელოვანი შედეგი იყო აკად. დავით შენგელიას მიერ შექმნილი და გამოქვეყნებული „ლოქის კრისტელური მასივის (კავკასია) 1:50 000 მასშტაბის ციფრული გეოლოგიური რუკა“. მნიშვნელოვანია აკად. რევაზ გაჩეჩილაძის გამოქვეყნებული მონოგრაფიები პოლიტიკური გეოგრაფიის მიმართულებით: „ახლო აღმოსავლეთი: სივრცე საზოგადოება და პოლიტიკა“ (2003-2019 წლებში ოთხჯერ გამოიცა). „საქართველო მსოფლიო კონტექსტში“ (2013 და 2017 წლის გამოცემები, ითარგმნა გერმანულ ენაზე) „საქართველო რეგიონულ კონტექსტში“ (2023 წელი). აკადემიკოსები ე. გამყრელიძისა და რ. გაჩეჩილაძის მონაწილეობით შექმნილი რუკები შევიდა „საქართველოს ეროვნულ ატლასში“ (2018), რომელიც ინგლისურ ენაზე გამოიცა.

საინჟინრო მეცნიერებათა და ინფორმაციული ტექნოლოგიების განყოფილების წევრების სამეცნიერო ნაშრომები მოიცავს ტექნიკის მეცნიერებათა ფართო სექტორს – მანქანათმშენებლობა, სამთო მეცნიერება, კომპიუტერული მეცნიერებები, სამხედრო მეცნიერება, მართვის სისტემები, სამშენებლო მექანიკა, საგზაო და სატრანსპორტო სისტემები და სხვა. განყოფილების წევრების სამეცნიერო ნაშრომები რეგულარულად ქვეყნდება როგორც საქართველოს, ასევე უცხოეთის მაღალი რეიტინგის მქონე სამეცნიერო გამომცემლობების მიერ. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში გამოქვეყნებული იქნა 30-ზე მეტი მონოგრაფია და წიგნი, მათ შორის აღსანიშნავია აკად. მ. სალუქვაძის მონოგრაფია ინგლისურად „ეთიკის ოქროს წესი მათემატიკურ თამაშთა თეორიაში“, რომელიც გამოქვეყნებული იქნა გამომცემლობა „შპრინგერ“-ის მიერ, აკად. თამაზ ნატრიაშვილის მონოგრაფია „საგლინავ დგანებზე მოქმედი დარტყმითი ურთიერთქმედების ძალების განაგარიშება“ გამოქვეყნებული გერმანიაში გამომცემლობა LAMBERT Academic Publishing-ის მიერ, აკად. არჩილ ფრანგიშვილის მონოგრაფია „მართვის საინფორმაციო სისტემების დაპროგრამების ჰიბრიდული ტექნოლოგიები და მონაცემთა მენეჯმენტი“, აკად. ელგუჯა მექმარიაშვილის მონოგრაფია „ტრანსფორმირებადი საინჟინრო სისტემების თეორია და კონსტრუირების ლოგიკა“, აკად. რამაზ ხუროძის მონოგრაფია ინგლისურად „მათემატიკური მოდელები დარეზერვებული ტექნიკური სისტემების ანტიდრობის მართვისათვის“, აკადემიის წევრ-კორესპოდენტის გ. გაბრიჩიძის „დეკლარაცია სეისმომედეგ მშენებლობის თანამედროვე იდეოლოგიის შესახებ“ (სამეცნიერო მონოგრაფია ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე).

აღსანიშნავია გამოცემული ლექსიკონები – ქართული სამხედრო ენციკლოპედიური ლექსიკონი (აკად. ე. მექმარიაშვილის საერთო რედაქციით), „English-Georgian Explanatory Dictionary in Technical Mechanics“ – ინგლისურ-ქართული განმარტებითი ლექსიკონი ტექნიკურ მექანიკაში (აკად. ნევრ-კორ. დავით თავხელიძე) და „სავტომობილო გზები – არასრული განმარტებითი ლექსიკონი“ (აკად. თამაზ შილაკაძე). აკად. ე. მექმარიაშვილის რედაქტორობით გამოდის პირველი ქართული სამხედრო-სამეცნიერო ჟურნალი „სამხედრო მეცნიერება. საქართველო“.

ბოლო ხუთი წლის განმავლობაში გამოქვეყნდა აგრეთვე 100-მდე სამეცნიერო სტატია, მათგან მნიშვნელოვანი ნაწილი რეიტინგულ უცხოურ სამეცნიერო ჟურნალებში. მათ შორის – აკად. ა. ფრანგიშვილი „Accelerated Test Models“ („დაჩქარებული ტესტირების მოდელები“) (თავი ინგლისურად), „Information and Computer Technology, Modeling and Control“, შერიგს: Computer Science, Technology and Applications, New York: Nova Science Publishers), აკად. ე. მექმარიაშვილი „New design modifications of the supporting ring for a large deployable space reflector“ („დიდი კოსმოსური გასაშლელი რეფლექტორული ანტენის საყრდენი რგოლის დიზაინის ახალი მოდიფიკაციები“) (CEAS Space Journal of European Aerospace Societies),

აკად. ქართლოს ყაჩიაშვილი „The Use of Imitation Models at Developing and Introducing InformationControl Systems“ („იმიტაციური მოდელების გამოყენება ინფორმაციული და მართვის სისტემების შექმნისა და დანერგვისას“) (Journal of Software Engineering and Applications). აკად. ლევან ჯავახიძე „დინამიკური ზემოქმედების ფაქტორი ცილინდრული ფორმის ნიმუშის გამოცდის დროს შოკური დატვირთვისას“ (საერთაშორისო კონფერენციის მასალები: Sustainable Industrial Processing Summit & Exhibition, კანკუნი, მექსიკა). აკად. თ. ნატრიაშვილი. „Some Problems at theMatematikal Modeling of Electromagnetic Vibrators used for the Transporting of Bulk Materials ISSN 1896-0596, “Transport problems“), აკად. რ. ხუროძე „განახლების ტიპის მარკოვული სტოქასტიკური მოდელი რთული სისტემების მართვისათვის“ (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე), აკად. ლ. ჯავახიძე „თბილისში 2015 წლის წყალდიდობისას წარმოშობილი დიდი მენყურის შემდეგ ფერდობის მდგრადობის ანალიზი“ (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე), აკად. ნევრ.კორ. დ. თავხელიძე „ვენახის სეტყვისაგან დამცავი მოწყობილობის განაგარიშება“ (სტუ-ს შრომები) და სხვა. ხუთი წლის განმავლობაში გამოცემულია უმაღლესი სასწავლებლებისათვის და დარგის სპეციალისტებისთვის დანერგული 10 სახელმძღვანელო – აკად. ნევრ. კორ. დ. თავხელიძის მიერ გამოცემულია 5 სახელმძღვანელო, აკად. ე. მექმარიაშვილის მიერ – 1 და აკად. თ. შილაკაძის მიერ – 4, საიდანაც ერთ-ერთი სახელმძღვანელო – „სატრანსპორტო კომუნიკაციების არქიტექტურა“ ითარგმნა ჩინურ ენაზე. ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილების ზოგადი სამეცნიერო მიმართულებებით – ქიმია, ქიმიური ტექნოლოგიები, ფარმაცოქიმია, მეტალურგია, არაორგანულ ნივთიერებათა მასალათმცოდნეობა და ქიმიური ეკოლოგია, ბოლო სამი წლის განმავლობაში განყოფილების წევრებმა გამოაქვეყნეს 1 წიგნი, 131 სამეცნიერო ნაშრომი, მონაწილეობა მიიღეს 56 სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმის მუშაობაში. მოიპოვეს 7 ადგილობრივი, 4 საზღვარგარეთის და ერთი საერთაშორისო გრანტი, მიიღეს საზღვარგარეთის ორი პატენტი. 2021 წელს აკად. რამაზ ქაჯარავას თანაავტორობით ერთად მიენიჭა საქართველოს ეროვნული პრემია ნაშრომთა ციკლისათვის: „პოლიმერული ბიომიმეტიკები – ცილების ანალოგები მრავალპროფილიანი გამოყენებისათვის – დიზაინიდან კომერციალიზაციამდე“.

ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილების წევრების მიერ ჩატარებული მნიშვნელოვანი მეცნიერული სიასლის შემცველი გამოკვლევები ბიომრავალფეროვნების, პალეობიოლოგიის, ბიოქიმიის, მოლეკულური ბიოლოგიისა და მოლეკულური გენეტიკის და ბიოტექნოლოგიის დარგებში. განყოფილების წევრების მიერ გამოქვეყნებულია მნიშვნელოვანი მონოგრაფიები, სტატიები რეიტინგულ ეროვნულ და საერთაშორისო გამოცემებში. მიღებულია ეროვნული და საერთაშორისო პატენტები. ბოლო წლებში გამოცემული მონოგრაფიები: აკად. გიორგი კვესიტაძე, პლანეტის ეკოლოგიური პოტენციალი (რუსულ, ინგლისურ ენებზე), გ. კვესიტაძე, რ. ხუროძე, რ. ქავთარაძე. წყალბადის ენერგეტიკა-ცივილიზაციის გლობალური პრობლემების გადაჭრის გზა; ე. კვესიტაძე, რ. გაბოკიძე, გ. ხატისაშვილი, გ. კვესიტაძე. დედამიწის ეკოლოგიური და სასურსათო პოტენციალი; გ. კვესიტაძე, ა. პოტიომკინი. Homo Sapiens & ტექნოგენური გარემო. (ინგლისურ ენაზე).

აკად. გიორგი კვესიტაძე, აკად. თინათინ სადუნიშვილი და პროფ. გია ხატისაშვილი დაჯილდოვდნენ საქართველოს 2020 წლის ეროვნული პრემიით ნაშრომისთვის: დეტოქსიკაციის ბიოქიმიური მექანიზმები უმაღლეს მცენარეებში, ფიტორემედიაციის საფუძველი (გერმანულ ენაზე). ამ წიგნში ნაჩვენებია, თუ როგორ შეიძლება მცენარეებში ქსენობიოტიკების (უცხოური, ხშირად ტოქსიკური ნივთიერებების) მეტაბოლიზმის გამოკვლევების სისტემატურმა გამოყენებამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს პლანეტის სიჯანსაღისთვის და მცენარეთა განაწესიანება შეიძლება ბევრად უფრო



ფიგებიდან აღსანიშნავია მათემატიკაში აკად. ალექსანდრე ხარაზიშვილის ნაშრომები: „უცნაური ფუნქციები ნამდვილ ანალიზში“ (Chapman and Hall, ნიუ-ორკი, 2017, მე-3 გამოცემული გამოცემა); „ლექციები ნამდვილ ანალიზსა და ზომის თეორიაში“ (Springer-Verlag, 2022); კომბინატორული გეომეტრიის ელემენტები, ნაწილი 1, (ინგლისურ ენაზე, თბილისი, 2016) კომბინატორული გეომეტრიის ელემენტები, ნაწილი 2 (ინგლისურ ენაზე, თბილისი, 2020). მნიშვნელოვანი წვლილი ფიზიკის სწავლებასა და განვითარებაში შეაქვს აკად. ნევრ-კორ. ანზორ ხელაშვილის სახელმძღვანელოებსა და შრომებს. ესენია: „თანამედროვე ფიზიკის საფუძვლები“, ნაწილი 1,2; „სიმეტრიები და ჯგუფთა თეორიის ელემენტები ნაწილაკთა ფიზიკაში, სტანდარტული მოდელის შესავალი“. აკად. გიორგი ჯავახიძის ხელმძღვანელობით მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილებასთან არსებულმა ბირთვული ენერჯისა და რადიაციული უსაფრთხოების პრობლემათა კომისიამ ქართულ და ინგლისურ ენებზე გამოსცა გამოკვლევა „საქართველოს ფარგლებს გარეთ მომხდარ მასშტაბურ ბირთვულ ინციდენტებზე რეაგირების სისტემის მზადყოფნისა და საჭიროებათა შეფასება“ (2019 წ.). მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილების წევრები სისტემატურად აქვეყნებენ ნაშრომებს მსოფლიოს წამყვან სამეცნიერო ჟურნალებში. მათი მეცნიერული საქმიანობის საერთაშორისო აღიარების კარგი დასტურია ის, რომ მხოლოდ ბოლო 5 წლის (2018-2023) განმავლობაში მათ პუბლიკაციებზე ჯამური ციტირების ინდექსი 9 ათასს აღემატება. დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილების წევრების მიერ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში გეოლოგიის, გეოფიზიკისა და გეოგრაფიის საკითხებზე საქართველოში გამოქვეყნებულია 70 სამეცნიერო სტატია, ხოლო, საზღვარგარეთ მაღალრეიტინგიან ჟურნალებში – 30. აგრეთვე ამ პერიოდში განყოფილების წევრების მიერ საქართველოში გამოქვეყნდა 9 მონოგრაფია, ხოლო საზღვარგარეთ – 3. განყოფილების წევრების მიერ მოპოვებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის 14 და 7 უცხოური გრანტი. „Shpringer“-ში გამოქვეყნდა აკად. თამაზ ჭელიძის სტატია „ძლიერი შორეული მიწისძვრების ტელესეისმური ტალღებით გამოწვეული ჰიდროდინამიკური და სეისმური რეაქცია



სისტემატურად მოერგოს რეალურ გარემოსდაცვით საჭიროებებს, ვიდრე ეს ამჟამად ხდება. აკად. თინათინ სადუნიშვილს მონოგრაფიისათვის „საქართველოს აგრარული კულტურა“ თანაავტორობით ერთად მიენიჭა ეროვნული პრემია.

აკად. თენგიზ ბერიძე მიერ განხორციელდა ქართული ხორბლისა და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის გენომის შესწავლა. კერძოდ: ქართული ქართული ხორბლის (Triticum aestivum L.) გენეტიკური ანალიზი ტელორეპლასტური დნმ-ის სრული ნუკლეოტიდური თანმიმდევრობის მიხედვით

და ქართული მითის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის პირველი სრული მიტოგენომი და ფილოგენია. აკად. **თენგიზ ზალიშვილი** დაადგინა ქათმის გლევი კუნთიდან (კუჭი) გამოყოფილი ცილა-სმიტინის ამილიდურ მდგომარეობაში გადასვლის თავისებურებანი ინ ვიტრო. აკად. **დავით ლორთქიფანიძე** განახორციელა დმანისის ადრეული პლეისტოცენის სტრატოგრაფია, დანალექი გარემო და ფორმირების კონტექსტი. დმანისის ნამარხი მასალის – დმანისის ცხენების, ევრაზიის მარტორქის სისტემატიკური, ბიოგეოგრაფიული და პალეოეკოლოგიური საკითხები. ადრეული სტრატოცენის მტაცებელთა შედარებითი კვლევა. შეფასდა დმანისის მსხვილი ქუჩუნოვარტა ერთობლიობის ზოგეოგრაფიული მნიშვნელობა. ჰოლოცენში სივრცითი და დროითი ჰეტეროგენულობა ადამიანის მობილობის ნიმუშებში სამხრეთ-დასავლეთ აზიასა და აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვაში.

აკად. **რამაზ შენგელია** გამოიკვლია, რომ ბიოარქეოლოგიური მასალის შესწავლით დგინდება მოსახლეობის გენეტიკური უწყვეტობის/ჩანაცვლების ფაქტი, პალეოპათოლოგიური (მათ შორის, გენეტიკურ დაავადებათა) სურათი, კავშირი რეკონსტრუირებულ პალეოგარემოსთან, კვების თავისებურებებთან.

ბიოლოგიის განყოფილების წევრების მიერ ჩატარებული კვლევების შედეგები პერიოდულად გამოქვეყნებულია სტატიების სახით ჟურნალებში: International Journal of Molecular Sciences, Mitochondrial DNA Part B, Journal of Plant Pathology, Journal of Human Evolution, Electronic Journal of Biotechnology, Bulletin of the Georgian National Academy of Sciences.

ფიზიოლოგიისა და მედიცინის განყოფილების წევრებმა ბოლო ორ წელიწადში გამოაქვეყნეს 5 ნიგნი და 20-ზე მეტი სამეცნიერო სტატია. გამოცა შემდეგი ნიგნები: **ნოდარ მითაგვარია**, „კომპლექსური ანტიოქსიდანტური სისტემების შეფასება და რადონის ჰორმონის ეფექტი ექსპერიმენტულ კვლევებში კრუშინსკი-მოლოტკინას ხაზის ვირთავებზე“



(თანავტორობით; ინგლისურ ენაზე). აკად. **ზურაბ ქვეანიშვილი**, აკად. **შ. ჯაფარიძე** „სმენაჩლუნგობა ბავშვებში: ციტომეგალოვირუსული ინფექციის ფაქტორი, კოგნიტობის ფუნქცია, კოხლარულ იმპლანტთა თუ სასმენ აპარატთა მოხმარების ეფექტი“. აკად. **რომან შაქარიშვილი** „კურორტოლოგიის მცირე ენციკლოპედია“, III ტომი. აკად. **რამაზ ხეცურაიანი** „ადამიანის ანატომია“, ორტომიანი. აკად. **დავით მიქელაძის**, აკად. **თემურ ნანეიშვილის**, სტატიები დაიბეჭდა მაღალრეიტინგულ ჟურნალებში: აკად. **დ. მიქელაძე** „Different Arrangement of Dopamine Receptors/NMDA Receptors Hetero-complexes in the Brain Regions of a Healthy Male, Female and Audiogenic Seizure-Prone Male Rats“ („დოფამინის/NMDA რეცეპტორების ჰეტეროკომპლექსის ნარმოქმნა ტვინის სხვადასხვა რეგიონში ჯანმრთელ, მდურ, მამრ და აუდიოგენური გამლიზიანებლის მიმართ მგრძობიარე მამრ ვირთავებში“) (თანავტორობით; American Journal of Biochemistry and Biotechnology, ინგლ. ენაზე). აკად. **თ. ნანეიშვილი** „Age-related changes in medial septal cholinergic and GABAergic projection neurons and hippocampal neurotransmitter receptors: relationship with memory impairment“ („მედიალური სეპტუმის ქოლინერგიული და GABAერგიული საპროექციო ნეირონებისა და ჰიპოკამპის ნეიროტრანსმიტორთა რეცეპტორების ასაკთან დაკავშირებული ცვლილებები: მესხიერების დარღვევებთან კავშირი“) (თანავტორობით; j. Experimental Brain Research, ინგლ. ენაზე).

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილების წევრებმა ბოლო სამ წელიწადში გამოაქვეყნეს 31 ნიგნი, მ.შ. 7 უცხოეთში, 108 სამეცნიერო სტატია, მ.შ. 42 უცხოეთში, მოიპოვეს 15 გრანტი, მ.შ. 4 უცხოეთში. აკადემიკოსი **ავთანდილ კორახაშვილის** მიერ საანგარიშო პერიოდში მომზადებულია 6 მონოგრაფია და სახელმძღვანელო, 9 სამეცნიერო სტატია. აკადემიკოსი **სოლომონ პავლიაშვილის** მიერ საანგარიშო პერიოდში მომზადდა და გამოიცა 6 ნიგნი და მონოგრაფია, 19 სამეცნიერო სტატია. მის ნაშრომებში დიდი ადგილი აქვს დათმობილი საქართველოში ეკონომიკის ცირკულარობის დონის შეფასებას, ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის გამოწვევებს და პერსპექტივებს. აკადემიკოს **ვანო პაპუნის** საანგარიშო პერიოდში მომზადებული და გამოცემული აქვს 4 ნიგნი, რომლებშიც თავმოყრილია და შეძლებისდაგვარად სისტემატიზებულია ამონარდები მის მიერ ბოლო წლების განმავლობაში გამოცემული აკადემიკოს **ვანო პაპუნის** ამ პერიოდში გამოქვეყნებული

აქვს 12 სტატია, რომლებიც ძირითადად ეხება მცენარეთა ინტროდუქციის თეორიასა და პრაქტიკას. აკადემიკოს **გივი გავარდაშვილს** ამ პერიოდში გამოქვეყნებული აქვს 6 ნიგნი და მონოგრაფია, რომლებშიც აღწერილია საქართველოს ეროზიულ-ღვარცოფული ტიპის წყლადინარები, შეფასებულია მათგან გამოწვეული საფრთხეები. აკადემიკოს **გივი გავარდაშვილს** ამ პერიოდში გამოქვეყნებული აქვს 23 სამეცნიერო ნაშრომი, რომელშიც აღწერილია ლაზერული სკანერების პრაქტიკული გამოყენება ზღვის სანაპირო ცვალებადობის გასაზომად, რომლის საფუძველზეც განვსაზღვრულია წყლის რეზერვუარების სანაპირო ზოლში მიმდინარე ცვლილებები. აკადემიის წევრ-კორესპონდენტი **ალექსანდრე დიდუბლიძეს** ამ პერიოდში გამოქვეყნებული აქვს 12 სამეცნიერო სტატია და 5 ნიგნი, რომლებშიც აღწერილია ელექტროფიციური ხიდური აგრეგატები და განკუთვნილია ვაზის და თხილის სანერგებში და პლანტაციებში სამუშაოდ. ნაშრომებში შემოთავაზებულია გრძივი მოძრაობის ამძრავის მუშაობის რეჟიმების განგარიშებისა და მართვის სისტემის ელემენტების შერჩევის მეთოდები.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება მოიცავს მრავალ სამეცნიერო დარგს და კვლევის ფართო პრობლემატკას: ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა, ფილოსოფია, ფსიქოლოგია, ეკონომიკა, დემოგრაფია, სამართალი, პოლიტიკური მეცნიერებები და სხვ. მასში გაერთიანებულია 5 დარგობრივი კომისია. ექვთიმე თავაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოება. 2017-2023 წ.წ. განყოფილების წევრებმა გამოაქვეყნეს 54 დასახელების ნიგნი, მათ შორის მრავალტომეულები; 7 სახელმძღვანელო 210 სამეცნიერო სტატია.

საზოგადოებრივ განყოფილების წევრთა მიერ აქტუალურ და მწვავე საკითხებზე გამოცა მრავალი თეორიული ნაშრომები. მათ შორის: აკად. **ომარ გოგიაშვილის** „ილიას ირგვლივ“, ვაჟა ლორთქიფანიძის „დემოლოგია“;

აკად. **ირაკლი იმედაძე**, „ფსიქოლოგიის ისტორია: ანტიკური ხანიდან ჩვენ დრომდე“, „განწყობის ონტოლოგიური სტატუსის პრობლემა“, „დისკუსიები განწყობის ზოგადფსიქოლოგიური თეორიის გარშემო“ „თანამედროვე ფსიქოლოგია: ძირითადი მიმდინარეობები და განვითარების პერსპექტივები“; აკად. **ლიანა მელიქიშვილი**, „ღირებულების როლი ეთნოკულტურულ პროცესებში. (სამენივანი)“, „ქართველი ხალხის ეთნოლოგიური ლექსიკონი – აჭარა. (თანავტორი-შემდგენელი)“, „ეთნიკურ ჯგუფთა ინტეგრაცია ქვემო ქართლში“ (სომხები და აზერბაიჯანელები), „ტრადიციული კულტურა და საზოგადოება“, „შედარებითი მეთოდი ეთნოლოგიაში“ (თანავტორობით), „წაწლობა ლაშარელთა, მოგონილია შენია“. „ხევისრული სწორ-ფრობა და ფშაური წაწლობა“ (ქალ-ვაჟთა ურთიერთობის ნორმები ქორწილამდე. ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით) (თანავტორობით), „ტრადიციის კონცეფცია: მისი გადარჩენა, ტრანსფორმაცია და ვირტუალური სამყაროს განახლება“; აკად. **როინ მეტრეველი**, „დიდი ექვთიმე“ (შემდგენელი და მთავარ რედაქტორი აკად. რ. მეტრეველი), „თამარ მეფე“ (რუსულ ენაზე), „დავით აღმაშენებელი“ (რუსულ ენაზე), „საქართველოს სამეფო და ყივჩაყები XI-XII სს.“ (ქართულ და რუსულ ენებზე), „სად არის კავკასიური ცივილიზაცია?“ (რუსულ ენაზე), „საისტორიო ნარკვევები“, „ბაგრატიონები“ (ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე). „წარსული ხელოვნების ენით. ისტორია ზურაბ ნერეთლის თვალსაწიერად“ – (ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე); აკად. **დავით მუსხელიშვილი** „საქართველოს ისტორია. საქართველო უძველესი დროიდან ახალი წელთაღიგების IV საუკუნემდე“ ტომი I (გადამუშავებული, შეესებულება და განახლებული გამოცემა; აკად. **გ. მელიქიშვილთან**, აკად. **ა. ავაქიძესთან**, აკად. **ო. ჯაფარიძესთან** თანავტორობით); „საქართველოს ისტორია. საქართველო IV საუკუნიდან XIII საუკუნემდე“, ტომი II (გადამუშავებული, შეესებულება და განახლებული გამოცემა აკად. **მ. ლორთქიფანიძესთან**, აკად. **რ. მეტრეველთან** თანავტორობით); აკად. **ვლადიმერ პაპავა**, „საქართველოს ეკონომიკა – ოპტიმიზიდან პრიმიტივიზმამდე“ (ქართულ და ინგლისურ ენებზე) „ინფლაციის მაჩვენებლის მოდიფიკაციები და მათი საქართველოსთვის გამოყენების მიზანშეწონილობა“ (თანავტორობით, ქართულ და ინგლისურ ენებზე); „ერთი სარტყელი – ერთი გზის ინიციატივა და საქართველო“ (ქართულ და ინგლისურ ენებზე); „რას მისცემს საქართველოს მარინუანის ეკონომიკა?“, „არატრადიციული ეკონომიკა: მეთოდოლოგია და მეთოდოლოგია“, „საქართველო-იაპონია: ეკონომიკური პარტნიორობის პერსპექტივები“ (თანავტორობით; ქართულ და ინგლისურ ენებზე). „პანდემიის ძირითადი ეკონომიკური გამოწვევები“ (ქართულ და ინგლისურ ენებზე);

ავთანდილ სილაგაძე, „ეკონომიკური დოქტრინები: სათავეები“ (თანავტორობით, ინგლისურ ენაზე), „მსოფლიოს მოკლე ეკონომიკური ისტორია“ (ინგლისურიდან თარგმნილი სახელმძღვანელო. ქართული გამოცემის სამეცნიერო და მთავარი რედაქტორი აკად. **ა. სილაგაძე**); **მინდია უგრეხელიძე**, „საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია: ქმნადობის მისაგდომებთან“ (თანავტორობით);

ჯონი ხეცურიანი, „თანამედროვე ქართული სახელმწიფოებრიობის სათავეებთან“, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება“ (მეორე გადამუშავებული და შეესებულება გამოცემა).

ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილებაში აკადემიკოსმა **ელიზბარ ჯაველიძემ** გამოსცა სამტომეული, რომელშიც შეჯამებულია თავისი მრავალწლიანი კვლევის შედეგები აღმოსავლური ლიტერატურათმცოდნეობის სფეროში:

„ოდეს შაისაგან თეთრის გამორჩევის ყამი დადგება (თურქულენოვან ხალხთა ზნეობრივ-ესთეტიკური სისტემა)“, რომელიც ეძღვნება უძველესი აღმოსავლური სიტყვიერი კულტურის შემქმნელი ხალხების ზნეობრივი და ესთეტიკური სისტემის კვლევას.

„**განთიადის გამნათებელ ღმერთს ვეტრფი, რათა უკუნი ღამის ბოროტებას განვერიდო**“, განხილულია შუა საუკუნეების მუსლიმური (თურქულენოვანი) სამყაროს ზნეობრივ-ესთეტიკური თავისებურება, სუფიზმის მსოფლისსტემა, ადამიანისა და ღმერთის ურთიერთდამოკიდებულების ხასიათი...

„**ღვანის (კლასიკური) ლიტერატურა**“, რომელიც წარმოგვიდგენს შუა საუკუნეების მხატვრული ნაწარმოების შესწავლის მეთოდებს ისტორიულ ჭრილში, იგივეობის ესთეტიკის პრინციპით; განხილულია სემანტიკური ველი, რომელშიც დანვრლებით არის აღწერილი აშკ-მამუკის ურთიერთობა

აკადემიკოსი **მხეჭელა შანიძე** კვლავაც აქტიურად იკვლევს ძველ ქართულ ბიბლიურ წყაროებს, განსაკუთრებით ეს ითქმის ფსალმუნთა ნიგნის ქართული რედაქციების ღრმა ტექსტოლოგიურსა და ფილოლოგიურ შესწავლაზე. მან გამოსცა სამეცნიერო სტატიების კრებული.

აკადემიკოს **რისმაგ გორდენიანის** მრავალწლიანი ნაყოფიერი კვლევის შედეგები სრული მასშტაბით წარმოჩნდა უკანასკნელი წლების გამოცემებში: „**ბერძნული ცივილიზაცია**“ სამი ტომი. ამ ფუნდამენტურ კორპუსში განხილულია კლასიკური ეპოქის კულტურის ყველა ძირითადი სფერო. გამოვიდა ისეთი სახელმძღვანელო ნიგნები, როგორებიცაა: „**ბერძნული ლიტერატურა. ელიზური ეპოქის პოეზია და პროზა**“, „**ანტიკური ლიტერატურა**“, „**ეპტრუსკები**“ რჩეული ნაშრომების კრებული Lekt 2, თბ. 2022...

აკადემიკოსი **ელგუჯა ხინთიბიძე** ბოლო წლებში განსაკუთრებული ინტენსივობით იკვლევს „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტურსა და ესთეტიკურ კავშირებს აღორძინების ხანის ევროპულ ლიტერატურასთან. საყოველთაო აღიარება მოიპოვა მისმა ნაშრომმა „**ვეფხისტყაოსანი**“ **შექსპირისა და მისი თანამედროვეების ინგლისურ დარამატურგიაში**“. ინგლისურად გამოვიდა მისი მონოგრაფია „**შუა საუკუნეების ქართული რომანი**“ „**ვეფხისტყაოსანი**“ და **შექსპირის ბოლო პერიოდის პიესები**“. მეცნიერის კვლევა ხელშესახება აჩვენებს, რომ „ვეფხისტყაოსანი“ როგორც ლიტერატურული წყარო გამოყენებულია რენესანსის ეპოქის მწვერვალზე დიდ ინგლისურ დრამატურგიაში, კერძოდ, ჯონ ფლეტჩერისა და ფრენსის ბომონტის პიესებში...

აკად. **ე. ხინთიბიძემ** 2021 წელს გამოსცა მეცნიერულ კვლევათა სოლიდური კრებული „**წყაროთმცოდნეობითი ძიებანი**“, რომელში შესული გამოკვლევებიც ეძღვნება როგორც საქართველოს ისტორიის, ასევე ხელნაწერთმცოდნეობისა და ლინგვისტიკის მნიშვნელოვან საკითხებს, ქართული ხელნაწერების ბედს უცხოურ ნიგნსაცავებში და სხვ.

აკადემიკოსი **ინესა მერაბიშვილი** აქტიურ მეცნიერულ კვლევას ახორციელებს რამდენიმე მიმართულებით. უპირველესად ეს შეეხება კვლევებს, ერთი მხრივ, ბაირონოლოგიის, ხოლო, მეორე მხრივ, გალაკტიონოლოგიის სფეროში.

ასევე ინტენსიურად იძიებს იგი ტექსტის ლინგვისტიკის მიმართულებით. ამ ძიებათა ამსახველია მონოგრაფია „**სიტყვა, ტექსტი და თარგმანი**“, 300 გვერდის მოცულობით. უკანასკნელ პერიოდში მეცნიერმა რამდენიმე კვლევა გამოაქვეყნა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტისა და მისი ავტორის ვინაობასთან დაკავშირებით.

აკადემიკოსი **ვალერი ასათიანის** მეცნიერული მუშაობის ნაყოფიერებას კარგად წარმოაჩენს მისი სოლიდური მონოგრაფიები უახლოეს წლებში. უპირველესად ეს არის ფართო პრობლემეტიკის მომცველი ნიგნი: „**ანტიკური კულტურა. ბიზანტია და საქართველო**“, რომელშიც წარმოჩენილია ის მრავალსაუკუნოვანი ისტორიულ-კულტურული ურთიერთობები, რომლებიც საქართველოს ელადასთან აკავშირებს.

მეცნიერმა მნიშვნელოვანი ამაგი დასდო დიდი მეცნიერის – **გრიგოლ წერეთლის ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლას**. ამისი დასტურია ნიგნები მისი ავტორობითა და რედაქტორობით; უპირველესად, „**კლასიკოსი – გრიგოლ ფილიმონის ძე წერეთელი**“, აგრეთვე: „**გრიგოლ წერეთელი. – არისტოვანეს „ფრინველების“ დღემდე უცნობი თარგმანის ავტორი**“; **გრ. წერეთელი**, ბერძნული ლიტერატურის ისტორია, მე-3 გამოცემა და სხვ.

გამორჩეული ესთეტიკურ-ლიტერატურული ღირებულებისაა მის მიერ შედგენილი კრებულები „**გიორგი ლეონიძე**“, „**ირაკლი აბაშიძე**“ და სხვ.

აკადემიკოსმა **ჯაბა სამუშიამ** მეცნიერებათა აკადემიაში არჩევის შემდეგ თავის სამეცნიერო პროდუქციას შემატა მეტად მნიშვნელოვანი გამოცემები: „**საისტორიო ძიებანი**“, თბ. 2022 (343 გვ.); „**ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან**“, თბ. 2022 (422 გვ.). ეს ნიგნები გამოირჩევა მრავალთემატურობითა და კვლევის სიღრმით; მათში მოცემულია ფაქტოლოგიური და სამეცნიერო ინფორმაცია ბიზანტია-საქართველოს ურთიერთობების, თამარისა და დავითის ეპოქაში მეფეთა კურთხევის წესის, თბილისის მოსახლეობის შესახებ გვიან შუა საუკუნეებში და სხვ.

აკადემიკოსი **ავთანდილ არაბული** ხელმძღვანელობს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო სტრუქტურას „**რუსთაველის კომიტეტს**“, რომელიც აგრძელებს იმ სამუშაოებს, რომელსაც გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან წარმართავდა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისია“, და რომელსაც აკად. **თ. გამყრელიძემ** ამ საუკუნის დასაწყისი-

დან მიზნად დაუსახა აღნიშნული კომისიის სამეცნიერო მეგვიდრობის მოვლა და „ქართული ენის თესაურუსის“ შედგენა. ეს არის მასშტაბური და პერსპექტიული ამოცანა, რომელმაც შედეგად უნდა მოგვეცეს ქართული ენის ისტორიული ლექსიკონისა და სხვა ლექსიკოგრაფიული კორპუსების შექმნა. დღემდე განხორციელდა ამ პროექტის ზოგი არსებითი ნაწილი და მომხმარებელი უკვე სარგებლობს შესაბამისი ტექსტური და ლექსიკური რესურსებით სპეციალურ საიტზე (რომელიც აკადემიის ვებგვერდზე იქნება). მალე ქართველოლოგია მიიღებს ამ სამუშაოების რამდენიმე მნიშვნელოვან შედეგს (როგორც ელექტრონულად, ისე ბეჭდურად): „ქართული ბიბლიის სიმფონია-ლექსიკონი“, „ვეფხისტყაოსნის“ შესიტყვებათა ლექსიკონი“ და „გარგანტუა და პანტაგრუელის“ სიმფონია-ლექსიკონი“.

ა. არაბული ხელმძღვანელობს „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ 8-ტომეულის ახალი რედაქციის სამუშაოებს და მისი მთავარი რედაქტორობით უკვე გამოვიდა ამ ლექსიკონის ახალი რედაქციის 4 ტომი (2008-2020 წწ), თითქმის გაორმაგებული მოცულობითა და მნიშვნელოვანი რედაქციული ცვლილებებით. ახლახან მისი რედაქტორობითა და თანავეტორობით გამოიცა კიდევ ერთი უნიკალური ლექსიკოგრაფიული ნაშრომი – „გულის ლექსიკონი“.

ა. არაბული მნიშვნელოვანი ნაშრომები მიუძღვნა ქართული მწერლობის თვალსაჩინო ძეგლებსა და ავტორებს: „ვეფხისტყაოსნის“, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთელის, იაკობ გოგებაშვილის, ალექსანდრე ყაზბეგის, ვაჟა-ფშაველას და სხვ. ახლახან გამოვიდა მისი წიგნი „მარადიული თანამედროვე (შტრიხები ვაჟა-ფშაველას შემოქმედებითი პორტრეტისთვის)“ (2020), რომელიც პოეტის ენისა და

შემოქმედების არაერთ კიხვას სცემს არგუმენტირებულ პასუხს. მას თავისი წვლილი შეაქვს ქართული ფილოლოგიური სამეცნიერო მეგვიდრობის შეფასებისა და დაფასების საქმეში. ამ მიმართულებით ფასულობის მისი ნარკვევები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრის, აკაკი შანიძის, ვარლამ თოფურისა, არნოლდ ჩიქობავას, ივანე ქავთარაძის, თამაზ გამყრელიძის, ვინფრიდ ბოედერისა და სხვათა შესახებ. ამისი მაგალითია ავტორის წიგნი არნ. ჩიქობავას პიროვნებისა და შემოქმედების შესახებ („არნოლდ ჩიქობავა – კავკასიური იდენტობის გამარჯვება“), რომელიც ქართულად – 2018 წელს, ხოლო – მეცნიერებათა აკადემიის ინიციატივით – რუსულადაც გამოიცა 2021 წელს, რათა ის ჩრდილოეთ კავკასიური სამეცნიერო ცენტრებისათვისაც ყოფილიყო ხელმისაწვდომი.

აკადემიის ნევრ-კორესპონდენტი **ვაჟა შენგელია** კვლავაც აქტიურად იკვლევს ჩერქეზული ენის სტრუქტურისა და ლექსიკური შედგენილობის, ჩერქეზულ-ქართული ენების შედარებითი ასპექტების, ქართველური ენების ფრაზეოლოგიისა და ლექსიკის ცალკეულ საკითხებს; იგი აქტიური მონაწილე იყო პროექტისა „კავკასიურ-ქართული ლექსიკონები“, რომელმაც რამდენიმე ორენოვანი ლექსიკონი მიანოდა საზოგადოებას.

აღსანიშნავია, ფუნდამენტური კოლექტიური ნაშრომების გამოცემის ტრადიცია აკადემიაში. აკადემიის ძალისხმევით ბოლო ათწლეულში გამოიცა „საქართველოს ბუნებრივი რესურსების“ ორტომეული, „ქართლის ცხოვრება“ (ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე), ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის 4 ტომი, ენციკლოპედია „საქართველოს“ 5 ტომი, „ექვთიმე თაყაიშვილი“, 12 ტომი. (მთავარი რედაქტორი აკად. **როინ მეტრეველი**); „ქართული დიპლომატიის ისტორია“ (ავტორი და მთავარი რედაქტორი აკად. **რ. მეტრეველი**, თანავეტორი პროფ. **ზ. პაპასქირი**); „კავკასია“ ორტომეული, (თანავეტორი და რედაქტორი აკად. **რ. მეტრეველი**) „ქართველები“ (რუსულად, პასუხისმგებელი რედაქტორები: **ლ. ბერიაშვილი**, **ლ. სოლოვიოვა**), „ქართველები“ (ყველაფერი ქართველთა კულტურისა და ეთნოსის შესახებ) (რედაქტორი, თანავეტორი აკად. **ლ. მელიქიშვილი**).

მეცნიერების ინტერნაციონალიზაცია

მეცნიერების სფეროში ინტერნაციონალიზაცია სამეცნიერო საზოგადოებას საშუალებას აძლევს ინსტიტუციურ და პიროვნულ დონეზე თანამშრომლობისათვის სხვა ქვეყნების წარმომადგენლებთან, ზრდის ინფორმირებულობას, გამოცდილების ურთიერთგაზიარებისა და ერთობლივ აქტივობებს. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის კურსი ორიენტირებულია ინტერნაციონალიზაციისათვის პლატფორმების საქართველოში გაზრდისათვის, რაც ამაღლებს ქართული მეცნიერების კონკურენტუნარიანობას. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ საერთაშორისო ურთიერთობებში სრული თავისუფლება საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მოიპოვა. ამის შემდეგ ინსტიტუციურად საქართველოს მეცნიერებათა აკადემია მჭიდროდა ჩართული საერთაშორისო ურთიერთობებში, როგორც ორგანიზაციების წევრი, სხვადასხვა ხელშეკრულებებითა და მემორანდუმებით. ამასთან, ის

ცდილობს ინტერნაციონალიზაციის ხარისხი გაზარდოს არა მარტო პუბლიკაციებით უცხოეთში, არამედ გამოსცეს ადგილზე საერთაშორისო რეიტინგის მქონე ჟურნალები, არა მარტო მიიღოს მონაწილეობა უცხოეთში სამეცნიერო ფორუმებში, არამედ ჩაატაროს საერთაშორისო კონფერენციები და სიმპოზიუმები ადგილზე. ეს ისტორიულად ნაცადი გზაა და იმის გაგრძელებაა, რასაც თავის დროზე დასაბამი დაუდო დავით აღმაშენებელმა გელათის აკადემიის დაფუძნებით, რათა ის ყოფილიყო „მოდერნი სწავლებისა, ვითარცა მეორე ათინა“ ანუ ისეთივე განათლება და მეცნიერება ყოფილიყო საქართველოში, რაც უცხოეთში არსებობდა.

ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი პროგრესია. მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილების წევრების რედაქტორობით გამოდის საერთაშორისო დონის სამეცნიერო ჟურნალები: Modern Mathematics and its Applications (მთავარი რედაქტორი **რ. გამყრელიძე**); Georgian Mathematical Journal, Memoirs on Differential Equations and mathematical Physics (ორივეს რედაქტორი **ი. კილურაძე**); Journal of Homotopy and Related Structures; Tbilisi Mathematical Journal (ორივეს რედაქტორი **ბ. ინასარიძე**); Transaction of A.Razmadze Math. Institute (რედაქტორობდა **ვ. კოკილაშვილი**, შემდეგ აკადემიის სტიპენდიანი **ა. მესხი**), Quaestiones Mathematicae (გ. ჯანელიძე); ამ ჟურნალებში სისტემატურად აქვეყნებენ თავის ნაშრომებს ქართველთა ერთად უცხოელი მეცნიერებიც. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრები და წევრ კორესპონდენტები არიან უცხოეთის მრავალი ჟურნალის რედაქტორები, სხვადასხვა ჟურნალებში მინვეული რეცენზენტები. აკად. **ბ. ჭანკვეტაძე** არის საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალის Journal of Pharmaceutical and Biomedical Analysis (Elsevier, Netherlands) რედაქტორი. მნიშვნელოვანი საერთაშორისო კონფერენციები ტარდება მეცნიერების ყველა დარგის მიმართულებით. საერთაშორისო კონფერენციებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია დიდი საერთაშორისო სკოლა-კონფერენცია – „**ტოპოლოგიურ და ძლიერ კორელირებულ მასალებში აღმოცენებული დაბალ-განზომილებიანი კვანტური მოვლენები**“ (2019 წ.), რომლის ერთ-ერთი დირექტორი იყო აკად. **გ. ჯავარიაძე**. კონფერენციის მუშაობაში, ქართველი ფიზიკოსების გარდა, მონაწილეობა მიღო 80-მდე ნამყანამა მეცნიერმა ევროპის კავშირიდან, აშშ-დან, ბრაზილიიდან, ჩინეთიდან, ინდოეთიდან, კორეიდან, ირანიდან, თურქეთიდან, რუსეთიდან, უკრაინიდან და სხვ. 2022 წელს, **ა. შენგელია**ს ხელმძღვანელობით ბათუმში ჩატარდა International School and Conference on Functional Materials for Modern Technologies.

აკად. **ბ. ჭანკვეტაძის** ხელმძღვანელობით 2022 წლის 8-10 დეკემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა ფიზიკური და ანალიზური ქიმიის კათედრის ყოველწლიური მე-11 საერთაშორისო კონფერენცია.

აკადემიის წევრები ლებულობენ მონაწილეობას უცხოეთში საერთაშორისო ფორუმებში. ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილების წევრების მიერ მიღწევები წარმოდგენილ იქნა საერთაშორისო კონფერენციებზე: გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბიომრავალფეროვნების კონფერენცია (UN Biodiversity Conference (COP 15), 15 December 2022, Montreal, Canada); გაეროს მეცნიერებებისა და ტექნოლოგიების საერთაშორისო კონფერენცია (18th International Conference on Environmental Science and Technology. CEST2023, 30 August to 2 September 2023, Athens, Greece); მე-14 საერთაშორისო კონფერენცია მცენარეთა პათოგენურ ბაქტერიებზე „მცენარეთა პათოგენური ბაქტერიების გავლენა მცენარეთა გლობალურ ჯანმრთელობაზე“ (14th International Conference on Plant Pathogenic Bacteria “The Impact of Plant Pathogenic Bacteria on Global Plant Health”. July 3-8, 2022, Assisi, Italy); მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინჟინერიის კონფერენცია 2022, მე-2 გლობალური კონფერენცია სოფლის მეურნეობაში (Science, Technology and Engineering Conferences 2022, 2nd Global Conference on Agriculture. 09 Dec - 11 Dec 2022 Berlin, Germany); უკრაინის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში „მეცნიერება ცხოვრებაში“, რომელიც მიეძღვნა აკადემიკოს ბორის პატიონის ხსოვნას. საქართველოს (დასავლეთ საქართველო, კავკასია) გენეტიკური ლანდშაფტი; The Genetic Landscape of Samegrelo [Mingrelia], Western Georgia (Caucasus). პენსილვანიის უნივერსიტეტი; 48th Congress for the History of Medicine, Romania) Erwinia IV saerTaSoriso vorqSopze (4th International Erwinia Workshop, Assisi, Italy); რეგიონული თანამშრომლობა მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის გამოვლენისა და შენარჩუნების მიზნით (Intra-regional cooperation in revealing and preserving tangible cultural heritage” hosted by the Eurasian International Development Association (EIDA) and organized in cooperation with Permanent Delegation of the Republic of Azerbaijan to the UNESCO. 21st October 2022); 2023 წლის 23 მაისს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სამართლისა და კრიმინოლოგიის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა (ხელმძღვანელი – პროფ. მალხაზ ბაძალა) საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან, საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიასთან, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტთან გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში ჩატარდა მეოთხე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: „დანაშაულობის პრევენციის აქტუალური საკითხები“.

აკად. **გურამ ალექსიძე**მ მონაწილეობა მიიღო სამეცნიერო ფორუმებში და გამოვიდა მოხსენებებით: მექანიზაციის ისტორია და დღევანდელი მდგომარეობა საქართველოში (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „სოფლის მეურნეობის მექანიზაცია და ტექნოლოგიები ევროპაში და პერსპექტივები“. 27-28 მაისი, თბილისი), აგრეთვე „ევროპის სოფლის მეურნეობის, სურსათისა და ბუნებათსარგებლობის აკადემიების კავშირის (UEFA) მიერ ჩატარებული სამუშაოების მოკლე ანგარიში (2020-2022)“ (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „მდგრადი, გამძლე და სამართლიანი კვების სისტემები ევროკავშირში და გლობალურად“, სლოვაკეთში.




აკად. **სოლომონ პავლიაშვილი**მ მონაწილეობა მიიღო 34 სამეცნიერო-პრაქტიკულ ფორუმში, ძირითადად საზღვარგარეთის ქვეყნებში. ხელისუფლებაში წარდგენილი აქვს წინადადებები (პროექტები) ქვეყნისთვის აქტუალურ პრობლემებზე, მათ შორის, საქართველოში მეცნიერების განვითარების აქტუალურ საკითხებზე, აგრეთვე „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტში და რადიაციული დაცვის, ბირთვული უსაფრთხოებისა და დაცულობის შესახებ კანონის პროექტში, რომელიც გასულ წელს წარედგინა საქართველოს პარლამენტს განსახილველად. მიღებული აქვს მონაწილეობა მდგრადი საჯარო შესყიდვების პრინციპებისა და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტის პროექტის შემუშავება, რაც აისახა სახელმწიფო შესყიდვების ახალ კანონპროექტში.

აკად. **გ. გავარდაშვილი** მონაწილეობა აქვს მიღებული 12 საერთაშორისო კონფერენციაში რომლებიც ეხებოდა ინოვაციური ღვარცოფსარეგულაციო კონსტრუქციის და პროექტებისათვის გაანგარიშების კერძო შემთხვევებს, რაზედაც მიღებული აქვს პატენტი გამოგონებაზე „ღვარცოფსანიშნავლმდგომ მონეობილობა“. გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს (ECOSOC) საკონსულტაციო სტატუსის ორგანიზაციაში ა(ა)იპ გარემოს დაცვის ეკოცენტრში, რომელსაც დირექტორის რანგში აკად. გავარდაშვილი ხელმძღვანელობს, მდინარე მლეთის ხევის კალაპოტში დაასრულა ღვარცოფსანიშნავლმდგომ ნაგებობის მშენებლობა, რომელიც შეამცირებს მლეთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაზე (აშენებულია 1879 წელს) ღვარცოფების ზემოქმედების რისკებს.

აკად. ნევრ-კორ. **ა. დიდებულიძე** მონაწილეობას ლებულობდა 5 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში, ვებინარში, რომლებიც ეხებოდა სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ტექნოლოგიების ევროპაში და საქართველოში მათ ადაპტაციის შესაძლებლობებს. მონაწილეობდა USAID-ის სოფლის მეურნეობის პროგრამის ხელშეწყობით შექმნილი აგრობიზნესის მართვის ციფრული პლატფორმის (TABCO) მუშაობის მიმართულებების განმსაზღვრელ ღონისძიებაში.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ეკონომიკურ მეცნიერებათა კომისიის (აკად. ვ.პაპაეა), გრუნის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტისა და პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის მიერ. გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში საქართველოს ეკონომისტთა V ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია გაიმართა, რომელიც საქართველოს ეკონომისტის პროფესიულ დღეს მიეძღვნა. კონფერენციაზე განხილეს საქართველოს ეკონომიკის პოზიციონირების პრობლემები კონფორმაციული გლობალიზაციის პირობებში.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია გამოსცემს სამეცნიერო ჟურნალებს, მათ შორის საქართველოში ყველაზე რეიტინგულ ინგლისურენოვან ჟურნალს – „მოამბე“. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პერიოდული გამოცემებია: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე; ჟურნალ „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნეს“ სერიები: „ისტორიის“, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის“, „ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების“, „ბიომედიცინა“, „საქართველოს მათემატიკური ჟურნალი“, ჟურნალი „მემუარები დიფერენციალურ განტოლებებსა და მათემატიკურ ფიზიკაში“, ჟურნალი „მეცნიერება და ტექნოლოგიები.“



ცოდნის პოპულარიზაცია და ტერმინოლოგია

საქართველოში საენციკლოპედო-ლექსიკოგრაფიულ საქმიანობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქართველი ხალხის კულტურისა და განათლების განვითარებისთვის. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სისტემაში ამ მხრივ გამორჩეულია „ქართული ენციკლოპედიის“ რედაქციისა (ხელმძღვანელი პროფ. ზურაბ აბაშიძე) და „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის გამოცემისა და ქართული ენის თესაურუსის კომიტეტის (ხელმძღვანელი აკად. ავთანდილ არაბული) საქმიანობა.

ქართული ენციკლოპედია

ქართული საენციკლოპედო-ლექსიკოგრაფიული მეცნიერების განვითარების ღრმა ისტორიული ფესვების მიუხედავად (იხ., georgianencyclopedia.ge) პირველი ქართული უნივერსალური ენციკლოპედიის თორმეტტომეულის გამოცემას 1975-87 წლებში (მთ. რედაქტორი – ირაკლი აბაშიძე; მთ. რედაქტორის მოადგილეები: როინ მეტრეველი, ავთანდილ საყვარელიძე) მოხერხდა. ამ ფაქტს ქვეყნის ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა. არა მარტო იმიტომ, რომ ის იყო და დღემდე რჩება ინფორმაციის მნიშვნელოვანი ქართულენოვანი წყაროდ ცოდნის სხვადასხვა სფეროში, არამედ იმიტომაც, რომ შეიქმნა ქართული ენციკლოპედიის მუდმივმოქმედი ინსტიტუტი ენციკლოპედისტთა უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე კადრებით. 2006 წელს, მას შემდეგ,



რაც ენციკლოპედიის რედაქციის საკუთარი შენობა ჩამოერთვა, ენციკლოპედია მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შენობაში განთავსდა. მრავალ სხვა გამოცემათა შორის („ქართული ენა“, „ქართული დამწერლობა“, „100 ქართველი უცხოეთში“ და სხვა) აღსანიშნავია ენციკლოპედია „საქართველო“, რომლის პირველი ტომი 1997 წელს გამოიცა. 2012 წელს განახლდა ენციკლოპედია „საქართველოს“ მორიგი ტომების მოზადება, რაც რედაქციის მთავარ საქმიანობად შეიძლება ჩაითვალოს. უკვე მოზადებულია და ენციკლოპედიის ვებგვერდზე განთავსებულია აღნიშნული გამოცემის 5 ტომის მასალები (ასოები „ა“ – „ლ“), 13 ათასამდე სტატია. პარალელურად გრძელდება სამეცნიერო – საცნობარო, ენციკლოპედიური ხასიათის მრავალტომეულის „საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის“ გამოცემა. ამჟამად გამოცემულია ექვსი ტომი. მისი პირველი ნიგბი გამოიცა 1990 წელს, ხოლო ხუთი ტომი 2008-2021 წლებში. თავისთავადი მნიშვნელობა აქვს ენციკლოპედიის სპეციალური ვებგვერდი (georgianencyclopedia.ge), რომელიც 2022 წელს განახლებული ვერსიით ფუნქციონირებს. მიმდინარე წლის განმავლობაში ვებგვერდზე განთავსებული სტატიების მნახველთა რაოდენობამ 33 ათასს გადააჭარბა.

«ვეფხისტყაოსნის» აკადემიური ტექსტის გამოცემისა და ქართული ენის თესაურუსის კომიტეტი

„კომიტეტი“ შეიქმნა აკად. თამაზ გამყრელიძის ინიციატივით 2006 წელს, მანამდე (1962 წლიდან) არსებული „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის (ხელმძღვანელები: დასაწყისში აკად.ირაკლი აბაშიძე, შემდეგ აკად.გიორგი ნერეთელი) საქმიანობის გაგრძელებისა და „ქართული ენის თესაურუსის“ მოზადების მიზნებისა და ამოცანების გაერთიანებით.

აკად. თ. გამყრელიძე „კომიტეტის“ ხელმძღვანელი 2021 წლამდე, შემდეგ აკად. ა. არაბული ერთ-ერთ პრიორიტეტად დაუსახა „კომიტეტს“ მის ხელთ არსებული სოლიდური სალექსიკონო ფონდის დამუშავება თესაურუსის მოთხოვნათა შესაბამისად („ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის სალექსიკონო ფონდი იმთავითვე მოიაზრებოდა, როგორც მთავალი ისტორიული ლექსიკონი).

ახლად ამოქმედებული სტრუქტურის მემკვიდრეობითი ამოცანა კომისიის მრავალწლიანი შრომის შედეგების მოწესრიგება და პუბლიკაცია. „კომიტეტი“ აგრძელებს რუსთველოლოგიური კვლევების ანოტირებული ბიბლიოგრაფიის შედგენასა და გამოქვეყნებას (უკვე გამოიცა 6 ტომი, ბოლო ტომი მოიცავს 2001-2005 წლებს). კომიტეტმა გამოსცა ტექსტის დამდგენი კომისიისა და მთავარი რედაქციის ყველა

სხდომის დამუშავებული ოქმების ორი ტომი; გამოაქვეყნა „ვეფხისტყაოსნის აკადემიური გამოცემის მასალები, ტექსტი, ვარიანტები, კომენტარი, პირველი და მეორე ნაკვეთი... „ქართული ენის თესაურუსი“ (ბერძ. Thesaurus „საუნივერსალური“ თავისი არსით მრავალგანზომილებიანი სამეცნიერო იდეაა, რომელიც პირველ რიგში, ცხადია, ქართული ენის ისტორიული ლექსიკონის შედგენას გულისხმობს; მაგრამ პროექტის მიზანდასახულება თავისთავად ღირებული ამ ამოცანით არ ამოიწურება.

„ქართული ენის თესაურუსის“ კონცეფცია დაეფუძნა თანამედროვე კომპიუტერული სისტემების გამოყენებას დიდი მოცულობის ისტორიული მასალის სანდოობის მაღალი ხარისხით წარმოდგენისა და ოპერატიულობის მიზნით. „თესაურუსის“ ლექსიკოგრაფიული ამოცანების გათვალისწინებით მოზადდა სპეციალური კომპიუტერული პროგრამა (პროგრამისტი გ. შერვაშიძე), რაც მნიშვნელოვნად აჩქარებს ელექტრონული ტექსტური ბაზების მოზადებასა და შესაბამისი სალექსიკონო სისტემის შექმნას.

„ქართული ენის თესაურუსის“ მოცულობითი სამუშაოები ქმნის მყარ საფუძველს თანამედროვე ქართული ენის ეპოქის გამოწვევათა შესაფერისი ლექსიკოგრაფიული უზრუნველყოფისთვის. ამ ფორმულირების ქვეტექსტი გულისხმობს იმას, რომ სახელმწიფო ენის სრულფასოვანი განვითარების პირობები, ერთი მხრივ, მოითხოვს ამ ენის ყოველმხრივი დიქციონარული და სინქრონიული კვლევებით უზრუნველყოფას, ხოლო მეორე მხრივ, მისი ფუნქციონირება საჭიროებს ისეთი პრაქტიკული რესურსებით აღჭურვას, რომელთა გარეშე თანამედროვე „ენათა თანასწორი პარტნიორობის“ პირობები დაკმაყოფილებული ვერ იქნება. ეს უპირველესად არის სრულფასოვანი სალექსიკონო ინდუსტრია, რომლის გარეშეც განვითარებული ევროპული ქვეყნის არსებობა წარმოდგენილია. ამ კლასიკურ სტანდარტს კაცობრიობის განვითარების უახლეს ეტაპზე დამატება ენობრივი რესურსების ელექტრონული ტექნოლოგიებით უზრუნველყოფის აუცილებლობა. ეს კი უმწვავესად აყენებს განვითარებადი ქვეყნებისა და მათი სახელმწიფო ენების ეპოქის მოთხოვნებთან საკმაოდ დიდი შეუსაბამობის გადაუდებლად დაძლევის საკითხს. ამიტომაც არის სამუშაოები, დაკავშირებული „ქართული ენის თესაურუსთან“, სტრატეგიული მნიშვნელობის ამოცანა სახელმწიფო ენის განვითარების თვალსაზრისით.

ბოლო წლებში „კომიტეტმა“ გამოსცა მრავალი ნაშრომი, მათ შორის: რუსთველოლოგიური ლიტერატურა, ანოტირებული ბიბლიოგრაფია, 6, თბ. 2019; ა. არაბული, „ვეფხისტყაოსნის“ თავგადასავალი, თბ. 2016; ა. არაბული, მარადიული თანამედროვე, თბ. 2021.



სამეცნიერო პრობლემის რისკის მიხედვითი თავსაზრებები

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, მიუხედავად იმისა, რომ მას ორგანიზაციულად არ ექვემდებარება სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები და დაწესებულებები, კვლავ ახერხებს საქართველოს მეცნიერული პოტენციალის მოზიდვას. ეს ხორციელდება ქართველი მეცნიერების მაღალი მოქალაქეობრივი პოზიციებისა და პროფესიული პატივითი სტრუქტურის საფუძველზე. მექანიზმის სახით გამოყენებულია მხოლოდ მორალური მოტივატორები. მეცნიერებათა აკადემიის მიერ უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების საქმიანობის შეფასებას ახორციელებს სხვადასხვა დარგებში შერჩეული წამყვანი მეცნიერების მეშვეობით, რომლებიც აკადემიის პრეზიდიუმის მიერ შერჩეული არიან შესაბამისი დარგის ექსპერტებად და რომლებზეც გაცემულია აკადემიის სერტიფიკატი. მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში სხვადასხვა დარგებში, 2006 წელს საკვლევი ერთეულების ჩამოშორებით, წარმოშობილი მეცნიერული კომპეტენციის დეფიციტი დაძლეულია აკადემიის პრეზიდიუმთან შექმნილი მეცნიერებისა და ტექნოლოგიების დარგობრივი კომისიებით, კომიტეტებითა და სხვა სტრუქტურებით, რომლებიც ასევე მორალურ მოტივებსა და პროფესიულ სოლიდარობაზე დაფუძნებული და ფუნქციონირებენ დაფინანსების გარეშე. მათში აკადემიკოსებსა და აკადემიის წევრ-კორესპოდენტებთან ერთად გაერთიანებულია შესაბამისი პროფილის სხვა წამყვანი ქართველი მეცნიერები. კომისიის სხდომებზე განიხილება აქტუალური თეორიული და პრაქტიკული

საკითხები, მიმდინარეობს დისკუსია, კეთდება დასკვნები სხვადასხვა მიმართულებით არსებული გამოწვევების შესახებ და მიიღება სხვადასხვა ტიპის რეკომენდაციები. საქვეყნო მნიშვნელობის რეკომენდაციები აკადემიის პრეზიდიუმის გავლით გადაეგზავნება საქართველოს მთავრობას, შესაბამის ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს.

აღნიშნული, ეროვნულ და პროფესიულ პატრიოტიზმზე დაფუძნებული, ეს სტრუქტურირებული ერთეულებია: ეროვნულ პრობლემათა შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისია (აკად. ელიზბარ ჯავახიძე), ქრისტიანული თეოლოგიისა და რელიგიის ისტორიის შემსწავლელი კომისია (სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II), საქართველოს ისტორიკოსთა ეროვნული კომიტეტი, საქართველოს ისტორიის წყაროების კომისია (აკად. როინ მეტრეველი), ინოვაციებისა და მაღალი ტექნოლოგიების ცენტრი, ბუნებრივი რესურსების დაცვისა და რაციონალური გამოყენების უწყებთაშორის კომისია, საქართველოს (კავკასიის) მოსახლეობის გენოფონდის შემსწავლელი კომისია (აკად. გიორგი კვეციანი), ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის კომისია (აკად. დ. მუსხელიშვილი), ისტორიის, ეთნოლოგიისა და რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის ცენტრი (აკად. ლ. მელიქიშვილი), ქართული ენის კომისია (აკად. მ. შანიძე), ქართული ლიტერატურის კომისია (აკად. ე. ხინთიბიძე), აფხაზური ენისა და კულტურის კომისია (ზ. შენგელია), სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისია (აკად.ავთანდილ კორახაშვილი), საგზაო-სატრანსპორტო სისტემების სრულყოფისა და განვითარების პრობლემათა შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისია (აკად. თამაზ შილაკაძე), საქართველოში მედიცინის აქტუალურ პრობლემათა შემსწავლელი კომისია (პროფ. არჩილ ჩხოტუა), ეკოლოგიური უსაფრთხოების კომისია (აკად. ვლადიმერ ციციშვილი), ეკონომიკურ მეცნიერებათა კომისია (აკად. ვლადიმერ პაპავა), ბუნებრივი კატასტროფების სამეცნიერო პრობლემების შემსწავლელი კომისია (აკად. გივი გავარდაშვილი), საქართველოს მთიანეთის კომპლექსური შესწავლის კომისია (აკად. ავთანდილ არაბული), გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების საპრობლემო სამეცნიერო საბჭო (აკად. თინათინ სადუნიშვილი), საქართველოში ტრანსპლანტოლოგიის განვითარებასთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისია (მედ. მეცნ. დოქტ. ვია თომაძე), მეცნიერებისა და ტექნიკის ისტორიის პრობლემათა საკოორდინაციო კომისია (ისტ. მეცნ. დოქტ. გოჩა საითიძე), შავი და ხმელთაშუა ზღვების რეგიონის ცივილიზაციათა შემსწავლელი კომისია (აკად. რისმაგ გორდეზიანი), სამედიცინო-ბიოლოგიურ მეცნიერებათა საკოორდინაციო მეთოდოლოგიური საბჭო (აკად. რამაზ ხეივანი) და სხვ. შესასწავლ პრობლემათა სპექტრი, რომელიც სათაურებიდანაც ჩანს, უკიდურესად მრავალფეროვანია, დაწყებული, თეოლოგიური და ეროვნული და დამთავრებული, ბუნებრივი კატასტროფებითა და მეცნიერებისა და ტექნოლოგიების კომერციალიზაციით. წლის განმავლობაში ტარდება კომისიათა 50-60 სხდომა.

გამორჩეულია პრობლემათა შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისიის ფუნქციონირება, რომლის ძირითადი ამოცანებია: გაანალიზოს, შეაფასოს ის სამეცნიერო ნაშრომები, რომლებიც ობიექტურად აშუქებს თანამედროვე სინამდვილეს; შეისწავლოს საქართველოს დემოგრაფიული მდგომარეობა, რეგიონული და ზოგადკავკასიური პრობლემები, რომელიც გლობალიზაციის პოლიტიკამ ამ რეგიონებს თავს მოახვია; პირუთვნელად შეაფასოს პრესისა და ელექტრონული მედიის საქმიანობა; ხელი შეუწყოს ისტორიულ წყაროებზე მუშაობას (აღმოსავლური, ევროპული, ბიზანტიური, ბერძნული, რუსული, სომხური, ალბანური და სხვ.); ტრადიციების გათვალისწინებით განიხილოს ქართული განათლების, კულტურის პრობლემები, რეფორმების კანონზომიერებები; განიხილოს მინის სარგებლობის საკითხი, საკუთრებისა და გასხვინების უფლებები და სხვა.

კომისია სწავლობს ქართველი ერის გენეტიკას, ქმედითი წვლილი შეაქვს ქართული ენისა და ლიტერატურის განვითარებაში. კომისია, საჭიროების შემთხვევაში, აღსრულების მოთხოვნით სათანადო დასკვნებს წარუდგენს ხელისუფლების სათანადო სტრუქტურებს. პასუხი შესაბამისი სტრუქტურებიდან სხვადასხვაგვარია. არის შემთხვევები, როცა „ეროვნულ პრობლემათა შემსწავლელი კომისია“ უკვე განხილულ საკითხს თავიდან უბრუნდება განსახილველად. კომისიამ 50-ზე მეტი სხდომა ჩაატარა აქტუალურ თემებზე: „საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ე.წ. სომხური ეკლესიების შესახებ, ვაზგენ მირზახანიანის პრეტენზია 442 ეკლესიაზე“. პრობლემის განხილვისას ნათლად გამოიკვეთა ვაზგენ მირზახანიანის ნააზრევის სიყალბე; განხილულ იქნა საინგილოს მძიმე პოლიტიკურ-ეკონომიკური და კულტურული ვითარება; ასევე, პროფესორ დენიზა ზუმბაძის მოხსენება, რომელიც ეხებოდა საქართველოს უძველესი ცენტრის, ქალაქ მცხეთის მიწების უკანონო გაყიდვას. 2015 წლის მარტში იუნესკოში გაგზავნილი დოკუმენტით, მრგვლოვანი, იგივე ასომთავრულის წარმომავლობა განსაზღვრულია ჩვ.წ.აღ.-ით 429-444წ.წ., მაშინ როდესაც, ქართული დამწერლობა, ქართული ანბანი, სავარაუდოდ, უძველეს ხანაში, ჩვ.წ.აღ.-მდე არსებობდა. ქართული ანბანის, ქართული დამწერლობის ირგვლივ არსებული შეუსაბამობის შესახებ ჩატარებული სხდომის შემდეგ, იუნესკოში გაიგზავნა შესწორებული ტექსტი. ყურადსაღებია აკადემიის აკადემიკოს გიორგი კვეციანის მოხსენება, რომელიც საქართველოსა და მსოფლიოში არსებულ ეკოლოგიურ პრობლემებს ეხებოდა. არსებული ეროვნული პრობლემები ნათლად გამოიკვეთა პროფესორ ო. გოგიაშვილის გამოკვლევაში, „ილია ჭავჭავაძე და ეროვნული ცნობიერება“, „მისონური ხანის

პიქტოგრაფიული დამწერლობა – ფესტოსის დისკოს პროქტორული წარწერების სილაბურ-ტოპოგრაფიული სისტემა“.

გრაკლიანის გორა საქართველოსთვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ძეგლს წარმოადგენს აქ აღმოჩენილი 3000 წლის უძველესი წარწერა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ქართული კულტურის, არამედ, საზოგადოდ, დამწერლობის განვითარების ისტორიის თვალსაზრისით. „მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი და ქართული სახელმწიფოს პერსპექტივები“ (პროფ. სერგეი ანზორ აბრამოვი); „საქართველოს ეკონომიკა: ძველი პრობლემები და ახალი გამოწვევები“ (აკად. ვლადიმერ პაპაია). ყველა კომისიის მისი ამოცანების გარდა, მისი დაფუძნების უშუალო, ზოგჯერ ემოციური მიზეზიც აქვს. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მთავრობის მხარდაჭერით კომპლექსური შესწავლის კომისია 1969 წელს აკადემიკოსმა ილია ვეკუამ, იმ დროს თსუ რექტორმა, სვანეთში მოგზაურობის მიმე შეთავაზებული გამოთბილისში დაბრუნებისთანავე მეცნიერებათა აკადემიაში შექმნა სვანეთის პრობლემათა კომპლექსური შესწავლის კომისია, რომლის თავმჯდომარეც თვითონ გახდა. კომისია შემდგომში გარდაიქმნა საქართველოს მთიანი რეგიონების პრობლემათა კომპლექსური შესწავლის კომისიად (ხელმძღვანელი აკად. ავთანდილ არაბული). 1990 წლიდან კომისიის ძირითადი ძალისხმევა გადაერთო რეგიონული სამეცნიერო პრობლემების დამუშავებასა და მთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული პრობლემების მოსაგვარებელი საკანონმდებლო ბაზის მომზადებაზე; კანონპროექტი საქართველოს მაკლამთიანეთის შესახებ კომისიამ 1999 წელს წარადგინა პარლამენტში მსვლელობის მისაცემად. 1999 წლის 19 ივლისს ეს კანონი მიღებულ იქნა, მაგრამ სხვადასხვა მიზეზთა გამო მან არ იმუშავა. კომისიამ დიდი როლი ითამაშა ამ კანონის გასაუმჯობესებლად. წარმატებულ პროექტი აღმოჩნდა საკანონმდებლო საფუძვლები მაკლამთიანეთის განვითარების შესახებ. ამჯერად პარლამენტმა გულდასმით განხილვის შემდეგ 2015 წლის ბოლოს დაამტკიცა „საქართველოს კანონი მაკლამთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“. „მთის კანონის“ მიღების შემდეგ კომისია მუდმივად ახორციელებს მონიტორინგს ამ კანონის რეალიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ამ დაკვირვებათა საფუძველზე მთიანეთის კომისიამ 2022 წელს წარადგინა „მთის კანონში“ შესატანი ცვლილებათა პროექტი, რომელიც რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხს ეხება, მათგან უმთავრესია წინადადება კანონის მოქმედების სტრატეგიაში ზონალური პრინციპის შემოღების შესახებ, კერძოდ, მაკლამთიანი დასახლების მცხოვრებთა უპირატესობა დანარჩენ მთიან დასახლებებთან შედარებით, რაც გარკვეული კრიტერიუმებით იქნება დადგენილი. მთიანეთის კომისია ამ და სხვა საკითხებთან დაკავშირებით განსაკუთრებით აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან. საკითხი, რომელსაც საქართველოს (კავკასიის) მოსახლეობის გენოფონდის შემსწავლელი კომისია ავითარებს მეტად სერიოზულ სახელმწიფოებრივ და ეროვნულ ინტერესებს მოიცავს, რაც ეთნოგენეზის, მოსახლეობის ავტოქთონობის, მიგრაციებისა სხვა სენსიტიური საკითხების შესწავლაში მდგომარეობს. პრობლემად რჩებოდა საქართველოში საკუთარი, საერთაშორისო სტანდარტების სამეცნიერო-ტექნიკური ბაზის უქონლობა, რაც უცხოელ კოლეგებზე დამოკიდებულებას სასურველზე მეტად ზრდიდა. ეს გამოწვევა დაძლია კომისიამ და მოპოვებული იქნა გრანტები: საერთაშორისო სემინარი: ჰერეთის ინტერდისციპლინური კვლევა (სამხრეთ-აღმოსავლეთი საქართველო) - 2017, 5-12 ოქტომბერი, დედოფლისწყარო, თბილისი; National Scientific Foundation (USA) - 2019 - მრავალწლიანი პროგრამა კავკასიის პოპულაციური გენეტიკური კვლევებისათვის; National Geographic - 2022 - გურია-აჭარის პოპულაციური გენეტიკური კვლევა; 2023 წელს საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ორი გრანტი: ა) ბიოარქეოლოგიური მასალის, კბილის ბიომის შესწავლის შესახებ და ბ) სამეგრელოს გვარებისა და გენეტიკური პოლიმორფიზმის ურთიერთკავშირის კვლევის თაობაზე. 2018-2023 წლებში მაქს პლანკის ინსტიტუტთან, სტოკჰოლმისა (შვედეთი) და ანკარის (თურქეთი) უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით შესწავლილი იქნა საქართველოს ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრებისას მოპოვებული ბიოლოგიური მასალა, რომელიც ნეოლითიდან შუასაუკუნეებამდე პერიოდს მოიცავს. შედეგები შეჯამებულია მეტად საინტერესო სტატიებში, რომლებიც მსოფლიოს წამყვან ჟურნალებში დაიბეჭდა. სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისია მუშაობს სამუშაო გეგმით 12 პრიორიტეტული მიმართულებით: 1. აგრო, ბიო, ნანო, საინფორმაციო და კლიმატგონივრული ტექნოლოგიების საქართველოს აგრო-ეკონომიკური სექტორის ადაპტაცია და დანერგვა-გავრცელება; 2. მცენარეთა და ცხოველთა გენეტიკა, სელექცია და მათ საფუძველზე კონკურენტუნარიანი ჯიშებისა და ჰიბრიდების შექმნა, მათი კომერციალიზაცია; 3. აგრობიომრავალფეროვნების და მინარე ცხოველების დაავადებებისა და მავნებლებისაგან დაცვა და ვეტერინარული სამსახურების განვითარება; 4. აგრობიომრავალფეროვნების გენეტიკური რესურსების შენარჩუნება, მცენარეთა და ცხოველთა ახალი სახეობების, ჯიშებისა და ჰიბრიდების საქართველოში ინტროდუქცია, საქართველოს გენოფონდის აღდგენა და მომავალი თაობებისთვის შენარჩუნება; 5. სასურსათო უსაფრთხოება და სურსათის უვნებლობა; 6. ნიადაგებისა და წყლის აგროეკოსისტემების დატვირთვის შეფასება,

ციკლულარული აგრო-ეკონომიკის, მინის გამოყენებისა და მართვის სახელმწიფო პოლიტიკის ეფექტურობის ხელშეწყობა; 7 კლიმატის ცვლილებებთან დაკავშირებული პრობლემების, კატასტროფული წყალდიდობებისა და დეარცოფების მახასიათებლების შეფასება, მათ მიმართ აქტივობის ტექნოლოგიური რეკომენდაციების მომზადება; 8. გარემოსათვის უსაფრთხო და მეგობრული ტექნოლოგიებით წარმოებული ეკოლოგიურად სუფთა და ბიოპროდუქციის – საკვებისა და სურსათის წარმოების, მათი უვნებლობის ქვეყანაში გავრცელების ღონისძიებების სრულყოფა და ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია; 9. ბუნებრივი საკვები სავარგულებისა და ტყის მასივების დაცვა, რეაბილიტაცია და კვლავწარმოება, მათი ბიოპროსპექტივები; წყლის რესურსების გამოყენება სოფლის მეურნეობაში, მეთევზეობა და აკვაკულტურა, ირიგაცია და დრენაჟი; 11. დაცული ტერიტორიების – სახელმწიფო ნაკრძალების, ეროვნული პარკების, დაცული ღონისძიებების, ალკვთილების ან მინის სხვა ფართობების ფიზიკური მახასიათებლების დაცვა და სოფლის მეურნეობაში გამოყენება; 12. საქართველოს ხელისუფლებისათვის, დონორებისათვის, გლობალური ფონდებისათვის, არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის, ელექტრონული და ბეჭდვითი მედიისათვის ქვეყნისათვის აქტიუალურ აგრო-ეკონომიკურ პრობლემებზე ინფორმაციების მომზადება.

2020 წელს დაიწყო მუშაობა და შემდგომ წლებში გაგრძელდა მუშაობა პროექტზე „საქართველოს სოფლის მეურნეობის კლიმატგონივრული ტექნოლოგიების ადაპტაციისა და განვითარებისათვის“, რომელიც კომისიის გადაწყვეტილებით უნდა მომზადებულიყო ბეჭდური სახით ქართულ და ინგლისურ ენებზე. ამ მიმართულებას დაემთავრა ცირკულარული სოფლის მეურნეობის გაძლიერების აქტიუალური საკითხები და როგორც განეული მუშაობის კულმინაცია 3 წლის განმავლობაში კომისიის წევრების მიერ საქართველოში და უცხოეთში გამოიცა 47 სამეცნიერო ნაშრომი. კლიმატგონივრული ტექნოლოგიების საქართველოში



ადაპტაციის საკითხებთან ერთად კომისიის რეკომენდაციით მომზადდა და 2022 წელს გამოიცა აგროტექნოლოგიის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, ხოლო საანგარიშო პერიოდში მომზადდა და მალე გამოიცემა ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი – „აგრო-ეკონომიკა და გარემოს დაცვა“, რომელიც განკუთვნილია სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთათვის, ყველა იმ პირის, დაწესებულებისა და ორგანიზაციისთვის, რომლებიც აგრო-ეკონომიკაში არიან დასაქმებული და ენევიან კომერციულ საქმიანობას. 2022 წელს მომზადებულია მსგავსი ხასიათის მონოგრაფია ინგლისურ ენაზე – „საქართველოს კლიმატ-გონივრული და ცირკულარული სოფლის მეურნეობა“, რომელიც ამ წლის დასაწყისში დაისტამბა დიდ ბრიტანეთში. კომისიის წევრების მუშაობის შედეგებზე დაყრდნობით გამოცემული სამეცნიერო სტატიების გარდა, კვლევების შედეგები მოხსენადა 18 სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციას და სიმპოზიუმს. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მედიცინის და ბიოლოგიურ მეცნიერებათა საკოორდინაციო - მეთოდოლოგიური საბჭო (თავმჯდომარე აკადემიკოსი რამაზ ხეცოურიანი) მართავს სხდომებს, სადაც იხილება სხვადასხვა საჭირობო საკითხებს. საბჭოს სხდომებს ესწრებიან საბჭოს წევრები, შესაბამისი სფეროს მაღალკვალიფიციური პროფესიონალები და მოწვეული დარგობრივი სპეციალისტები. საბჭოზე საკითხების განხილვის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები/რეკომენდაციები მიენიჭება შესაბამის სამთავრობო ან საკანონმდებლო ადრესატებს. რეკომენდაციები იქნა მიწოდებული საბჭოზე განხილულ შემდეგ თემებზე: პროტონული თერაპია საქართველოში: ანმყო და პერსპექტივები; თანამედროვე დემოგრაფიული ვითარება და რეპროდუქტოლოგიის აქტიუალური საკითხები საქართველოში; პათანატომიური კვლევები: მზერა მომავლისკენ. კომისიების ფარგლებში საკითხების განხილვის შედეგები აისახება არა მარტო რეკომენდაციებში. ხშირად ისინი მასშტაბური აქტივობის საფუძველი ხდება. ასე გააქტიურდა სატრანსპორტო დიპლომატიის საკითხი. 21-ე საუკუნის დასაწყისისთვის გლობალურ სატრანსპორტო სისტემაში მთელი რიგი სისტემური ხასიათის პრობლემა წარმოიშვა, რამაც საერთაშორისო თანამეგობრობისგან როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე კოორდინირებული გადაწყვეტილებების მიღება მოითხოვა. საკითხი უფრო გამწვავდა პანდემიის მიზეზით გამოწვეული ე.წ. ლოგისტიკური ჯაჭვის კრიზისის დროს. მანამდე, 2014 წელს გაეროს

გენერალური მდივნის გადაწყვეტილებით, შეიქმნა სპეციალური, მდგრადი ტრანსპორტის მაღალი დონის საკონსულტაციო ჯგუფი, რომელსაც, გაეროს მდგრადი განვითარების 15 წლიანი პროგრამის ფარგლებში, კოორდინირებული განვითარების და გლობალური სატრანსპორტო სისტემის რეგულირების წინადადებების შემუშავება დაევალა. იმავე წელს, გაეროს გენერალურმა ასამბლეამ უკვე მულტიმოდალური სატრანსპორტო დერეფნების განვითარების 4 ფართომასშტაბიანი რეზოლუცია მიიღო, რომელმაც ისტორიამი პირველად, გლობალური მასშტაბით ტრანსპორტის განვითარების საერთო სახელმეკრულეზო სამართლებრივ ჩარჩოს ჩაუყარა საფუძველი. საქართველო „შუა დერეფნის“ გააქტიურება (სატრანსპორტო დერეფნის ევროპა – კავკასია – აზია (TRACECA) და განვითარება არის სამხრეთ კავკასიის, შავი ზღვის რეგიონის, აღმოსავლეთ ევროპის და ცენტრალური აზიის ათეული ქვეყნის შიდა პოლიტიკური და შიდა-სავაჭრო ინტერესების ხელშეწყობის საფუძველი. პირველ ადგილზე დგას სატრანსპორტო განვითარების პოლიტიკური მიზნები, ამ მიზნების ხელშეწყობა ხორციელდება დიპლომატიური მეთოდებით, ხოლო ტრანსპორტის განვითარების ტექნიკური და ტექნოლოგიური საკითხები არის მიმდინარე პოლიტიკური ამოცანების რეალიზაციის შედეგები. ამან შექმნა საფუძველი სატრანსპორტო დიპლომატიის, როგორც ეკონომიკური დიპლომატიის დამოუკიდებელი მიმართულების და სატრანსპორტო პოლიტიკის წარმოშობაზე. ეს ტენდენცია და საქართველოს გეოსტრატეგიული მდებარეობა გახდა საფუძველი „საგზაო-სატრანსპორტო სისტემების სრულყოფისა და განვითარების პრობლემათა შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისიის“ (თავმჯდომარე აკად. თამაზ შილაკაძე) ინიციატივით დაწყებული პროექტიული საქმიანობა საქართველოში სატრანსპორტო დიპლომატიის რეგიონული ცენტრის შექმნისთვის. ამ მიზნის განსახორციელებლად, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიის მხარდაჭერით. „გზათა სამეცნიერო კვლევით და სანარმო-ტექნოლოგიურ კომპლექსურ ინსტიტუტმა“ („საქგზამეცნიერება“), და სატრანსპორტო დიპლომატიის საერთაშორისო ცენტრმა (აშშ) (International Centre for Transport Diplomacy (ICTD)) გადაწყვიტეს დააფუძნონ „სატრანსპორტო დიპლომატიის თბილისის სასწავლო-საინფორმაციო ცენტრი“, რომელიც იქნება საერთაშორისო სატრანსპორტო დიპლომატიის რეგიონალური ცენტრი.

ცენტრის შექმნის იდეა სრულად პასუხობს საქართველოს სატრანსპორტო სისტემის შემდგომი განვითარების ინტერესებს და ხელს შეუწყობს სატრანსპორტო პოტენციალის უფრო ეფექტიან განვითარებას ქვეყნის ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე. ამის თაობაზე, საუბარს ადგილი ჰქონდა 2021 წლის ოქტომბრის თვეში თბილისში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე „მაღალი დონის საერთაშორისო მრგვალი მაგიდა“, რომელიც ჩატარდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა და ინსტიტუტ „საქგზამეცნიერების“ ორგანიზებით ონლაინ ფორმატში, სადაც მონაწილეობა მიიღო როგორც ევროპის ისე აზიის 21 ქვეყანამ.

2023 წელს „გზათა სამეცნიერო-კვლევითი და სანარმო-ტექნოლოგიური კომპლექსური ინსტიტუტის“ (საქგზამეცნიერება) და სატრანსპორტო დიპლომატიის საერთაშორისო ცენტრმა (ICTD) დააფუძნა „ქართულ-ამერიკული სატრანსპორტო პოლიტიკის ინსტიტუტი“, რომელიც ტრანსპორტის დიპლომატიის სფეროსთვის ფართო პროფილის სპეციალისტებს მოამზადებს, რომლებიც შემდგომში მუშაობას გააგრძელებდნენ სახელმწიფო დაწესებულებებში, საერთაშორისო ორგანიზაციებში, მუნიციპალურ სტრუქტურებში, კერძო ბიზნესში.

ასევე, 2023 წელს დაიდო ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას, სატრანსპორტო დიპლომატიის საერთაშორისო ცენტრს (ICTD), ქართულ-ამერიკული სატრანსპორტო პოლიტიკის ინსტიტუტს (GUTPI) და „გზათა სამეცნიერო-კვლევითი და სანარმო-ტექნოლოგიურ კომპლექსურ ინსტიტუტს“ (საქგზამეცნიერებას) შორის.

ნიუ-იორკის სატრანსპორტო დიპლომატიის ცენტრისა და „საქგზამეცნიერების“ ინსტიტუტის მიერ ერთობლივად მომზადდა სახელმძღვანელო „სატრანსპორტო დიპლომატია ა-დან ჰ-მდე“ ჩამოყალიბდა გამოსაცემად.

სატრანსპორტო დიპლომატიის რეგიონალური ცენტრების შექმნას მნიშვნელოვანი პრაქტიკული წვლილი შეაქვს გაეროს 2030 წლის მდგრადი განვითარების დღის წესრიგში.

ინოვაციებისა და მაღალი ტექნოლოგიების ცენტრის მიზანია სამეცნიერო-ტექნოლოგიური მიღწევებისა და ინოვაციების, ინოვაციური პროდუქტების კომერციალიზაციის, მაღალი ტექნოლოგიების ათვისების ხელშეწყობის მიზნით რეკომენდაციებისა და წინადადებების შემუშავება. ჩატარდა 97 სხდომა.

ბოლო პერიოდში სხდომაზე წარმოდგენი იყო: აკად. ვლადიმერ ციციშვილის მოხსენება თემაზე: „ბაქტერიცი-დული ცელოლიური ადსორბენტ-იონმიომცვლელები“; პროფ. ნიკოლოზ ჩიხრაძის მოხსენება თემაზე „აფეთქების ტექნოლოგიები: პრობლემები, მიღწევები, პერსპექტივები“; პროფ. რევაზ ქავთარაძის მოხსენება თემაზე „წყალბადის ენერგეტიკა – ცივილიზაციის გლობალური პრობლემების გადაჭრის გზა“; აკად. ნოდარ მითავარიას მოხსენება თემაზე „ინფიცირებისგან დაცვის აქტიური ინდივიდუალური და კოლექტიური საშუალებები და დაავადების სამკურნალო მოდულები“; აკად. რამაზ ქაჯარავას მოხსენება „პოლიმ-

ერული ბიომედიცინები – დიზაინი და პრაქტიკული გამოყენება“; პროფ. არჩილ მალალაშვილის მოხსენება „საქართველოში სამთო მრეწველობის და მასთან დაკავშირებული ინსტიტუციური ბაზისის და სამეცნიერო-პრაქტიკული დისციპლინების განვითარების კონცეფციის თეზისები“; სოლომონ პავლიაშვილის მოხსენება „მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება“; პროფ. ფაიკ ზოგდანოვის მოხსენება „ელექტრომაგნიტური გამოსხივების, გაბნევისა და ანტენური ამოცანების მოდელირება სინგულარული ინტეგრალური განტოლებების ამოხსნის ინოვაციური რიცხვითი მეთოდების გამოყენებით“; პროფ. ზაურ ლომთათიძის მოხსენება „ნიადაგის მიკროფლორა და მისი გავლენა კლიმატის ცვლილებაზე“; „ოზონის გენერაციის სისტემა და ტექნოლოგიის გავრცელების გზები“. გამოვიდნენ ფიზიკა-მათემატიკის მეცნ. დოქტ. სოფიო ბურჯანაძე (მშპ „ჰაიდროჯენ ტექნოლოჯი“) და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნახევრად გამტართა ფიზიკის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი გიორგი ნივინიძე; „მცენარეთა მავნებელი მწერები და მათი რიცხოვნობის ბუნებრივი მტრებით რეგულაცია“ გამოვიდა პროფ. ენტომოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი გიორგი ჯაფარიძე.

„გამოთვლითი მათემატიკა – გამოწვევები და პერსპექტივები“, გამოვიდა ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორი, პროფ. ვახტანგ კვარაცხელია; **„შპს რევერსი დამუშავებული ინოვაციური საინჟინრო პროექტები“**, გამოვიდა ტექნიკის აკად. დოქტ., შპს „რევერსის“ დირექტორი მალხაზ ცისკარიშვილი; **„რეტროვირუსული ინფექციები და მათი რეგულაცია“**, გამოვიდა აკად. ვლადიმერ პაპავა და სხვ. ყველა სხდომის რეკომენდაციები ეგზავნებოდა სათანადო სტრუქტურულად. პერმანენტულად მიმდინარეობდა ცენტრის მიერ შექმნილი სამეცნიერო ინოვაციების სამეცნიერო ბანკის განახლება, ასევე ტარდებოდა ცენტრის მიერ შექმნილი სხვადასხვა სამუშაო ჯგუფის სხდომები. ცენტრის ხელმძღვანელია აკად. გიორგი კვესიტაძე, რომლის სხვა სამეცნიერო მიღწევებია შორის, უმნიშვნელოვანესია თეორია ეკოლოგიურ-ბიოლოგიური და გეოპოლიტიკური დაპირისპირებისა და დიბალანსის მოხსნისთვის ბუნების შიგა რესურსების გამოყენების შესახებ, რომლის მიხედვითაც, შემთავაზებული ინოვაციური ტექნოლოგიები ბუნების ტექნოლოგიების იმიტაციაა. ეს თეორია ექსპერიმენტებით დასაბუთებულია და იძლევა საშუალებას როგორც ლოკალური, ისე გლობალური გამოყენებისთვის. აკად. გიორგი კვესიტაძემ უკვე წამოაყენა აღნიშნული ტექნოლოგიით მეგა-პროექტების – აფრიკის, ნილოსის არეალში უდაბნოების, დამშრალი არალის ტბის ტერიტორიების სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ნიადაგებად რეკულტივაციის განხორციელების ინიციატივა. ასეთი გლობალური ბიოლოგიურ-ეკოლოგიური გარდაქმნის პროგრამის კონცეფცია უნიკალურია მსოფლიოს მასშტაბით.

მეცნიერება და ხელისუფლება

სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ მეცნიერებისა და პოლიტიკის დაბალანსებული, არსებული მეცნიერული პოტენციალის ეფექტიანად გამოყენებაზე ორიენტირებული, პრაქტიკა არ ჩამოყალიბდა. მეცნიერებმა მთელი ტრანსფორმაციის პროცესი ერთი მხრივ, მეცნიერული პოტენციალის შენარჩუნებისათვის, მეორე მხრივ, მეცნიერთა ფიზიკური გადარჩენისათვის, მესამე, სამეცნიერო-კვლევითი პროდუქციის შექმნისათვის ბრძოლაში გაატარა. ხშირად, ეს დაპირისპირება, კრიტიკულ ხასიათს ატარებდა. საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი ნანობს, რომ არ გააუქმა მეცნიერებათა აკადემია: „ჩვენ დავინყეთ ბიუჯეტის მაქსიმალურად რაციონალიზება: გააუქმეთ ბევრი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი...მეცნიერებათა აკადემია დარჩა და ეს იყო ჩვენი შედეგია, ის რეალურად არაფერს არ აკეთებდა. ჩვენ ვაპირებდით მის დახურვასაც, მაგრამ ივანიშვილმა თქვა, რომ აკადემიკოსებს ხელფასს თვითონ გადაუხდის. თუ გასურს შეინახო უსაქმურები – ინებეთ. როდესაც მოვიდა დრო, მანვე გამოიყენა ჩვენს წინააღმდეგ“ (მიხეილ სააკაშვილი. ძალის გამოღვიძება. ხარკოვი: „ფოლიო“, 2016, რუსულად. გვ.110-111).

აკადემიკოსები და ნევრ-კორესპონდენტები ბ.ივანიშვილის მიერ დაარსებული საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის – „ქართუ“ საგრანტო დაფინანსებას ლეზულობდნენ 2006 წლიდან 2019 წლამდე (თვეში აკადემიკოსები – 1000 ლარს, ნევრ-კორესპონდენტები – 500 ლარს). 2006 წლისთვის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია არ „დახურულა“, თუმცა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არსებული სისტემა დაიშალა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების „მეცნიერების მართვის საბჭოთა სისტემიდან“ გათავისუფლების მოტივით. შემდგომში აღმოჩნდა, რომ ეს არ იყო მთავარი მოტივი და ინსტიტუტები ქაოტურად, უკვე ახალი მოტივით – სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობის გაერთიანებით მისაღები სინერჯისათვის, – დაექვემდებარნენ სხვადასხვა სასწავლო დაწესებულებებს. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია საქართველოს მთავრობის, ხოლო, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სახელმწიფო კონტროლის ქვეშაა. მოუწესრიგებელი დარჩა მეცნიერების დაფინანსების საკითხი. ახალი სქემით მეცნიერების დაფ-

ცოდნა და კომპილტობა



„ლონერი და ჭირთა-მძღვეი ის არის, ვისაც ჭკუა ცოდნით მოურთავს, ცოდნით აუყვავებია, ცოდნის ძუძუთი გაუზრდია. „კაცი უნდა ხერხი იყოს, გაჰქონდეს და გამოჰქონდეს“, თქვენგანვე მაქვს გაგონილი და დასწავლული. მართალიც არის: კაცი სხვის მარგეტ უნდა იყოს და თავისთავისაც. კაცი მარტო მაშინ არის ხერხი, როცა ცოდნა აქვს, როცა ჭკუა ცოდნით გაუღეს, ცოდნის ჩარხზე გაუჩარხავს. მაშინ ხერხსავით სხვისთვისაც გააქვს და თავისთვისაც შემოაქვს.“

ილია ჭავჭავაძე

ინანსება ხასიათდება არა მარტო ქრონიკულად დაბალი დონით, არამედ დიდი გაფანტულობითაც, რაც უკარგავს ამ სახსრების გამოყენებას წინანდელი დონის სარგებლობის მიღწევის საშუალებას. მეცნიერების საბაზო დაფინანსება გამოიწვევს ინსტიტუციურად ფუნდამენტური და გამოყენებითი ინოვაციური პროექტების დაფინანსებისგან. ფაქტია, რომ მეცნიერების სისტემის ფორმირება დაუმთავრებელია. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საბიუჯეტო დაფინანსება 2012 წელს იყო 3,099 მლნ. ლარი. 2018 წელს მან შეადგინა 4 მლნ. ლარი, მანამდე ყოველწლიურად 4 მლნ. ლარზე ნაკლები იყო. დაფინანსება 2019, 2020, 2021, 2022, 2023 წლებისთვის შესაბამისად 4,050; 4,250; 4,250; 4,434; 4,735 მლნ ლარია. საქართველოს პარლამენტში ამ დროისათვის წარდგენილი საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მიხედვით 2024 წლისთვის ნავარაუდებია 4,8 მლნ. ლარით დაფინანსება. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დაფინანსება შეადგენს მთლიანად მეცნიერებაში საბიუჯეტო ასიგნებების 0,6%-ს. საქართველოს აკადემიკოსთა და ნევრ-კორესპონდენტთა წილი სამეცნიერო პუბლიკაციებში, კონფერენციებსა და სხვა აქტივობებში შეადგენს 30-50%-ს და სხვადასხვა კონკრეტული მიმართულებით უფრო მეტს.

ბოლო ხანებში, დამოკიდებულება ხელისუფლებასა და მეცნიერებათა აკადემიას შორის, უფრო კონსტრუქციულია, ვიდრე ამას კანონმდებლობით ფორმალური ურთიერთობა მოითხოვს. შექმნილია კარგი საფუძველი ამ ურთიერთობის გაფართოებისთვის საქართველოს მთავრობის 2022 წლის 31 აგვისტოს №446 დადგენილების „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ეროვნული ეროვნული სტრატეგიის 2022-2030 წლამდე“ სახით. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია მონადინებულია და მხარს უჭერს საქართველოს მთავრობას, მის მეთაურს ბატონ ირაკლი ლარიბაშვილს საქართველოს გამოცხადებული სტრატეგიული მიზნების, მათ შორის ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოებისა და ეკონომიკაზე ორიენტირებული მეცნიერების, კვლევის, ტექნოლოგიებისა და ინოვაციის სისტემის სწრაფი განვითარებისთვის მიღწევაში. მეცნიერების განვითარების მიმართულებით ხელისუფლების სამოქმედო ორიენტირები ჩამოყალიბებულია საქართველოს მთავრობის დადგენილება 2022 წლის 3 ნოემბრის №517 დადგენილებით დამტკიცებულ „ხედვა 2030 საქართველოს განვითარების სტრატეგიაში“. სტრატეგიის ერთ-ერთ მიზანდ „განსაზღვრულია მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების განვითარების ხელშეწყობა“. ყველა იმ გამოწვევაზე საუბარი, რაც ზოგადად დგას მეცნიერების წინაშე დღევანდელ მსოფლიოში. სტრატეგიის მიხედვით „მთავრობა შეიმუშავებს კვლევის დაფინანსების ისეთ მოდელს, რომელიც სტიმულს მისცემს, როგორც დაწესებულებებს, ასევე მათ თანამშრომლებს. გაიზარდება საბაზისო და სამეცნიერო საგრანტო დაფინანსება და შემუშავდება გრძელვადიანი, შედეგზე ორიენტირებული კვლევითი პროგრამები.“ სტრატეგიით ნაწარმოებული კვლევისა და განვითარებისთვის (R&D) განკუთვნილი ხარჯების წილი მშპ-სთან მიმართებით საბაზო 0,32 %-დან (2021) 2025 წლისათვის 0,80, ხოლო 2030 წლისთვის 1,5%-ზე გასვლა. გრძელვადიანი მიზნობრივი კვლევების დაფინანსების მოცულობა 2024 წელს – 35, 2027 წელს – 38, 2030 წელს – 41 მლნ. ლარითაა განსაზღვრული. დაგეგმილი დაფინანსებით მეცნიერების განვითარებაში არსებული ფაქტობრივი მდგომარეობიდან განვითარებაში თვისობრივი გარღვევა საეჭვოა. საეჭვოა ისიც, რომ საერთო რაოდენობიდან აქტიური, მაღალი მაჩვენებლების მქონე კვლევითი პერსონალის წილი (%) შეადგინოს 2024- 60,

2027-80, ხოლო 2030 წელს – სულაც 100%. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა და სახელისუფლებო სტრუქტურებს შორის ურთიერთობა ახალ დონეზე უნდა ავიდეს იმ მიზნით, რომ მეცნიერების განვითარების პროგრამები და მიზნები გაშორდეს გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებს და იყოს უფრო ამბიციური. შედეგად, თავიდან იქნას ამოღებული მეცნიერების მთელი რიგი დარგების გაქრობის არსებული საფრთხე. ჯერ კიდევ შემორჩენილია საქართველოში მეცნიერების სხვადასხვა მიმართულებით ინტელექტუალური პოტენციალი იმ დონით, რომ მისგან შესაძლებელია აღორძინდეს ძველი და შეიქმნას ახალი ქართული მეცნიერული სკოლები. ამ შესაძლებლობის მატარებელი ფიზიკურად ის მეცნიერებია, რომლებიც 20-30 წლისა და მეტი ხნის განმავლობაში ეწვიან სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას და დღესაც წარმოადგენენ ქართული მეცნიერების მთავარ საყრდენებს. მათი შემცველების ჩამოყალიბებას სჭირდება მინიმუმ 40-50 წელი. ნათქვამიდან გამომდინარე, ზემოაღნიშნული შესაძლებლობის რეალიზებისათვის საქართველოს აქვს 10-15 წელი. 30 წლის განმავლობაში მონაცვლეობა მეცნიერებაში მიმდინარეობდა საბჭოთა კავშირის დროს მომზადებული კადრების ბაზაზე, ახალი კი უნდა განხორციელდეს უკვე დამოუკიდებელი საქართველოს დროს მომზადებული კადრებით. თუ მითითებული 10-15 წელიწადში არ მოხერხდება აღნიშნულის განხორციელება, ქვეყანა დაკარგავს მეცნიერების მიმართულებებს, მათი სათუთ აღდგენის, ან ამისათვის, დიდი დროითი და ფინანსური რესურსების დახარჯვის ხარჯზე. ასეთი შემთხვევის შედეგების სრული წარმოდგენა შეუძლებელია, მაგრამ მის დიდი უარყოფითი მასშტაბების შესახებ დარწმუნებით შეიძლება თქმა. რომელიმე დარგში პროფესიონალი მეცნიერის არყოფა გარდა განვითარებაში შეფერხებისა, შეაფერხებს მეცნიერული ენის განვითარებას, სკოლის განვითარებას, მასწავლებელთა მომზადების სფეროში ჩამორჩენის გამო, სხვა სამეურნეო, ეკონომიკურ თუ ეკოლოგიურ პრობლემებს. საჭირო გახდება ასეთი ცოდნის იმპორტი ქვეყანაში.

მეცნიერებაზე დაფუძნებული მომსახურება

მეცნიერებაზე დაფუძნებული საზოგადოების შექმნა მოკლე დროში შესაძლებელია ხელისუფლებისა და საქართველოს მეცნიერების საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ფლაგმანობით, მეცნიერების სწორი ორგანიზებისა და დაფინანსების შედეგებზე ორიენტირებული, ანუ პროგრამულ-მიზნობრივი დაფინანსების სისტემის გამოყენებით.

- საქართველოს მეცნიერებათა აკადემია ხელისუფლებას წარუდგენს დასკვნებსა და რეკომენდაციებს საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, მათ შორის თვის მეცნიერებაში არსებული გამოწვევების შესახებ. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიერ მთავრობაში გაიგზავნა რეკომენდაციები „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ეროვნული სტრატეგიის 2022-2030 რეალიზაციის გზებისა და ფორმების შესახებ“ (ამონარიდი წერილიდან)
- „[არსებული] გამოწვევების დასაძლევად და მეცნიერების დინამიკური განვითარების უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილია გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

 1. მეცნიერების მართვის სისტემის სრულყოფისა და სამეცნიერო საქმიანობის ეფექტიანობის შეფასებისთვის ეროვნული სარეიტინგო სისტემის შემოღება – 2025 წლიდან;
 2. მეცნიერებისა და სამეცნიერო საქმიანობის დაფინანსების სისტემის გაუმჯობესება მისი დივერსიფიკირების გზით, რისთვისაც სახელმწიფო დაფინანსებასთან ერთად ბიზნესის მხრიდან დაფინანსების წილი უნდა გაიზარდოს.
 - მეცნიერების საბიუჯეტო დაფინანსების წილი დადგინდეს პროცენტულად ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით 2024 წლისთვის არანაკლებ 1%, 2025 წლისთვის – 1,2%, 2030 წლისთვის – 3%;
 - მეცნიერ თანამშრომელთა ანაზღაურებისთვის დადგინდეს მინიმუმი 2024 წლიდან – არანაკლებ ქვეყანაში არსებული საშუალო ხელფასისა;
 - ბიზნესის წილი მეცნიერების დაფინანსებაში მოტივირებულ უნდა იქნას საგადასახადო სისტემით;
 - გაიზარდოს სახელმწიფოსა და სამეცნიერო ერთეულებს შორის სოციალური პარტნიორობა, სამეცნიერო ერთეულების საქმიანობის სახელმწიფო სტრატეგიით განსაზღვრული მიზნების მაქსიმალური მოცულობით განხორციელებისთვის.
 3. მეცნიერების პრესტიჟის ამაღლების, ახალგაზრდობის მეცნიერულ საქმიანობაზე ორიენტირების გაზრდა მაღალკვალიფიკაციური სამეცნიერო და საინჟინრო კადრების მომზადების სისტემის გაუმჯობესებით:
 - მეცნიერების დოქტორის ხარისხის შემოღება;
 - დოქტორანტურაში სტუდენტთა სწავლების სახელმწიფო დაფინანსებაზე გადაყვანა.
 - 4.სამეცნიერო ინფრასტრუქტურისა და მეცნიერების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება.
 - ქართულ ენაზე მეცნიერული ლიტერატურის გაციფრულება და საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა საინფორმაციო ტექნოლოგიების საშუალებით.
 - ქართული ენის გამოყენების სახელმწიფო მხარდაჭერა თანამედროვე ხელოვნური ინტელექტის პროგრამების საძიებო და საცნობარო სისტემებით.
 - სამეცნიერო GLP (Good Laboratory Practice) და GMP Good manufacturing practice. სტანდარტების ლაბორატორიების შექმნის წახალისება.

5. საქართველოში არსებული სამეცნიერო პოტენციალის შესწავლის მიზნით ყველა სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებაში, რომელიც აწარმოებს სამეცნიერო კვლევებს, კომპლექსური აუდიტის ჩატარება სამეცნიერო-ინოვაციურ საქმიანობაზე 2025 წლამდე.

6. სამეცნიერო პოტენციალის, არსებული სამეცნიერო რესურსების გამოყენების სახელმწიფო პროგრამის შემუშავება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიზნების მისაღწევად ადაპტაციის მიზნით.

7. სახელმწიფოს მიერ მეცნიერებაზე განხორციელებული ეფექტიანობის შეფასება და შესაბამისად ამ ხარჯების კორექტირება. ხარჯი, ძირითადად, განეულ უნდა იქნას მიზნობრივი სახელმწიფო-სამეცნიერო და ინოვაციური პროგრამების მიხედვით, მკაცრად განსაზღვრული მიზნების მისაღწევად. ამ მიზნით, უნდა მოხდეს დივერსიფიცირებული სამეცნიერო ფონდების ჩამოყალიბება და მათი გამოყენება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან კოორდინირებული პრიორიტეტების მიხედვით. რუსთაველის ფონდი შესაბამისი წესით უნდა იქნას ტრანსფორმირებული და მოექცეს სახელმწიფოს ერთიანი სამეცნიერო-მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში.

8. მეცნიერების პოლიტიკა საქართველოში უნდა დაეფუძნოს მისი სახელმწიფოებრივი განვითარების შესაბამისი მონაცემებისა და მოტივაციის მიქონე ახალგაზრდებს უნდა ჰქონდეს სახელმწიფო მხარდაჭერა შესაბამის საერთაშორისო ცენტრებში მეცნიერული ზრდისთვის. ამასთან, უცხოეთში სახელმწიფო დაფინანსებით სასწავლებლად გაგზავნილი ყველა პიროვნება ვალდებული უნდა იყოს გარკვეული დროით საქართველოში დაბრუნებაზე.

9. სხვა პრიორიტეტებთან ერთად, გამორჩეული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს საქართველოს ეკონომიკის მეცნიერულ შესწავლას, რაც გამოდინარეობს ქვეყნის ტრანსფორმაციული მდგომარეობიდან გამოსვლისა და შემდგომი განვითარების ამოცანებიდან.

მიგვაჩნია, რომ ერთ-ერთ უმნიშვნელოდ რჩება მეცნიერების ფინანსირების პრობლემა. ფინანსირების სფეროში ასეთი სურათი იკვეთება: უნივერსიტეტებთან მიერთებული 42 ინსტიტუტისათვის განათლების სამინისტროს მიერ გამოყოფილი წლიური დაფინანსება შეადგენს დაახლოებით, 28 მილიონ ლარს, აქედან 18 მილიონი არის ხელფასის ფონდი და 10 მილიონი არის საქონელი და მომსახურება. თვეში ამ ინსტიტუტებისთვის ხელფასის ფონდი 1. 500 000 ლარი გამოდის. აღნიშნულ ინსტიტუტებში კი დასაქმებულია მეცნიერი და დახმარებ პერსონალი, დაახლოებით, 2300 კაცი. საშუალო ხელფასი გამოდის 650 ლარი. ცხადია, ასეთი მწირი დაფინანსების პირობებში სასურველი შედეგი ვერ მიიღწევა.


ამას უკავშირდება მეცნიერების სფეროში ადამიანური რესურსების ფორმირებაში თაობათა უწყვეტობის შენარჩუნების პრობლემა. ახალგაზრდა მკვლევრების მოზიდვის გზით. ახალგაზრდობის წილი მეცნიერებაში მიზერულია. დასახლებულ კვლევითი ინსტიტუტების უმეტესობაში საშუალო ასაკი 60-65 წელია, ზოგან - 70 წელიც კი, ანუ ამ ინსტიტუტებში ახალგაზრდა მეცნიერები შეადგენს 1-2%. ამის ძირითადი მიზეზი დაბალი შრომითი ანაზღაურებაა. სფერო, სადაც საშუალო ხელფასი 650 ლარია, ახალგაზრდა სპეციალისტს ნაკლებ მოტივაციას აძლევს. აქვე უნდა გავითვალისწინოთ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება, რაც მაღალრეიტინგულ უცხოურ ჟურნალებში ჩვენი ახალგაზრდა მეცნიერების ნაშრომების პუბლიკაციის საკითხს ეხება. თუ 5 წლის წინ საქართველოს, როგორც განვითარებადი ქვეყნის მოქალაქეს ამ ჟურნალებში სტატიას უფასოდ უბეჭდვდნენ. ახლა ასე არ არის - იქ ნაშრომის გამოქვეყნების საფასური 2-3 ათასი დოლარია, რაც მცირემემოსავლიანი მეცნიერისთვის პრაქტიკულად მიუწვდომელია. არადა, რუსთაველის თუ სხვა ფონდების მიერ საგრანტო პროექტების დაფინანსების დადებითად გადაწყვეტისთვის ერთ-ერთი გადაწყვეტი კრიტიკულად პროექტის ავტორების სწორედ აღნიშნულ პრესტიჟულ ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიებია. უნივერსიტეტების ერთი ნაწილი ამ პრობლემის გადაჭრაში ავტორებს ეხმარება, მაგრამ ეს არ კმარა - საკითხი სისტემურად უნდა მოგვარდეს.

ერთ-ერთი გამოწვევაა დოქტორის ხარისხის პრობლემა. პრობლემის სათავე დოქტორის აკადემიურ ხარისხშია. ტერმინი დოქტორის აკადემიური ხარისხი არსად არ არის მიღებული. ყველგან, სადაც არსებობს სამსაფეხურიანი უმაღლესი განათლება (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა), იქ არსებობს ფილოსოფიის დოქტორი (ანუ PhD). ფილოსოფიის დოქტორის (PhD) ხარისხის მოსაპოვებლად შემუშავებულია სათანადო სტანდარტები, განსაზღვრულია შეფასების კრიტერიუმები დასავლეთის მონიანე ქვეყნებში. ეს არის ძალიან მკაცრად რეგამენტირებული ხარისხი, რომელსაც ანიჭებენ ის მეცნიერები, ვისაც აქვთ PhD ხარისხი. ასეთია საერთაშორისო პრაქტიკა. თუ ჩვენ გვინდა ჰარმონიზაცია ევროპის საგანმანათლებლო სისტემასთან, ქართული სისტემა უნდა ტრანსფორმირდეს მეცნიერების მიმართულებით, რათა ახალგაზრდა სპეციალისტებს მიეცეთ ორიენტაცია მეცნიერების მკაცრად რეგამენტირებული ხარისხისკენ. უაღრესად მნიშვნელოვანია საკითხი, თუ როგორ უნდა იმართებოდეს მეცნიერება საქართველოში? საქართველოში არსებული ვითარება გვკარნახობს მეცნიერების მართვის ახალ სისტემაზე გადასვლის აუცილებლობას.

თანამედროვე მსოფლიოში მეცნიერების მართვის რამდენიმე მოდელი არსებობს, მაგალითად, მაქს პლანკის საზოგადოება, რომლის ბიუჯეტი არის, დაახლოებით, ორი მილიარდი ევრო, აქ არის წარმოდგენილი პრაქტიკულად ყველა

1990 წლის 24 ოქტომბერი. უზენაესი საბჭოს ბრძანებულება მეცნიერებათა აკადემიის თვითმმართველობის შესახებ

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თვითმმართველობის სტატუსის შესახებ



მისი ფუნდამენტური მეცნიერული კვლევის მიზნობრივი დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებებიდან, რაზეც საქართველოს მეცნიერებათა აკადემია ანგარიშს უდგენს საქართველოს მთავრობას.

4. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია ხელს უწყობს მეცნიერების სხვადასხვა დარგის განვითარებას რესპუბლიკაში; ამყარებს უშუალო სამეცნიერო კავშირებს, ქმნის სხვადასხვა ქვეყნებთან ერთობლივ სამეცნიერო ორგანიზაციებსა და ცენტრებს, ახორციელებს მეცნიერთა გაცვლას და იყენებს თანამედროვე საერთაშორისო მეცნიერული თანამშრომლობის სხვა ფორმებს.

5. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა დაადგინოს აკადემიის დაწესებულებების მეცნიერ მუშაკთა ახალი სარგოებისა და განაკვეთების განსაზღვრის წესი. მიზნობრივად გამოყოფილ ბიუჯეტის ასიგნებათა ფარგლებში.

6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ზემოთ აღნიშნული

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თანაქმდომარე ბ. გუშტარიაძე, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია. თბილისი. 1990 წლის 24 ოქტომბერი.

საკითხების გადასაწყვეტად მიიღოს სათანადო დადგენილება, რომელშიც გათვალისწინებული იქნება.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერ მუშაკთა და თანამშრომელთა მატერიალური უზრუნველყოფისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების ღონისძიებანი;

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა და მისი დაწესებულებებისათვის საკუთარი სახსრებიდან სოციალურ საკითხთა გადასაწყვეტად სპეციალური ფონდების შექმნის წესი სახელმწიფო სოციალური დახმავების კანონით გათვალისწინებულ ღონისძიებათა გარდა;

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში სამუშაო მეცნიერთა მოწვევის საკონტრაქტო სისტემის შემოღება (საზღვარგარეთიდან მეცნიერთა მოწვევის ჩათვლით) და კონტრაქტებით მომუშავეთათვის შრომის ანაზღაურების განაკვეთის დამოუკიდებლად დადგენა.

დარგი ცალკე ინსტიტუტების სახით. ასევეა ფრაუშოფერის საზოგადოება, მისი ბიუჯეტი არის დაახლოებით 3 მილიარდი ევრო, აქედან 30%-ს სახელმწიფო ფარავს, დანარჩენს ბიზნეს სექტორი. თუ გერმანიის მაგალითს ავიღებთ, გერმანიაში უამრავი ფონდია, რომელიც მეცნიერებას სერიოზულად აფინანსებს. ჩვენ ამ გამოცდილებაზე დაყრდნობით და ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური შესაძლებლობების გათვალისწინებით, მეცნიერების მართვისა და ფინანსირების ისეთ მოდელზე უნდა გადავიდეთ, რომელიც ფოკუსირდება მეცნიერების იმ დარგებზე, რომელთა აღორძინება ჯერ კიდევ შესაძლებელია.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური შესაძლებლობების გათვალისწინებით, გონივრულად მიგვაჩნია მეცნიერების მართვისა და ფინანსირების მსგავს შერეულ მოდელზე გადასვლა, განსაკუთრებით, მეცნიერების იმ დარგებთან მიმართებით, რომელთაც შეინარჩუნეს პოტენციალი და რომელთა მხარდაჭერის პირობებში, მოკლე დროში გაძლიერება და ევროპულ სისტემასთან დაახლოება სრულიად რეალურია. აღორძინება ჯერ კიდევ შესაძლებელია.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ არსებული ინტელექტუალური და ფინანსურ-მატერიალური რესურსების კონცენტრაცია შემდეგ სამ მსხვილ ცენტრად:

- 1. ფუნდამენტური კვლევები(მათემატიკა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი);
 - 2. ტექნიკისა და ტექნოლოგიური კვლევები;
 - 3. ჰუმანიტარული და სოციალური კვლევები;
- თითოეული ცენტრის მიხედვით განისაზღვროს მათში გაერთიანებული სამეცნიერო მიმართულებების პრიორიტეტები, ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების წინაშე არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შემუშავებისა და განხორციელების პროცესის მონიტორინგი და შედეგების ანალიზი; სამეცნიერო-კვლევითი თემატიკა შესაბამისობაში უნდა იყოს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მონაწილეობით შემუშავებულ საქართველოში მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების შემდეგი პრიორიტეტულ მიმართულებებთან:
- 1. მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი;
 - 2. სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებანი;
 - 3. საზოგადოებრივი და სოციალური მეცნიერებანი;
 - 4. ეკოლოგია და რაციონალური ბუნებასარგებლობა;
 - 5. საინფორმაციო-ტელეკომუნიკაციური ტექნოლოგიები.

თითოეული სამეცნიერო ცენტრისთვის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის რეკომენდაციების საფუძველზე განსაზღვრული სახელმწიფო მიზნების შესაბამისად უნდა შედგეს სახელმწიფო-მიზნობრივი პროგრამები. სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების კოორდინაცია უნდა განხორციელდეს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიერ. პროგრამების განხორციელების საბაზო ორგანიზაციებად დადგინდეს: ფუნდამენტური კვლევებისთვის (მათემატიკა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი) ტექნიკისა და ტექნოლოგიური კვლევების ცენტრისთვის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ჰუმანიტარული და სოციალური, მათ შორის, ქართველოლოგიური კვლევების ცენტრისთვის - საკუთრივ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია.

სამეცნიერო პერსონალის დაკომპლექტება უნდა განხორციელდეს ღია და გამჭვირვალე კონკურსის გზით, სამეცნიერო ხარისხის მქონე პირებით, მაღალი სახელფასო ანაზღაურებით, რაც უზრუნველყოფს მაღალკვალიფიციური სპეციალისტების, მათ შორის, ახალგაზრდების მოზიდვას და ჩაბმას კვლევითი პროექტების განხორციელებაში.

სახელმწიფო პროგრამების შედგენა-განხორციელება შეიძლება დაიწყოს რამდენიმე პრიორიტეტული მეცნიერული მიმართულებით, დღეს არსებული რესურსების გამოყენების რაციონალიზების გზით, შემდგომში თანდათანობით გაფართოების პერსპექტივით. ამისათვის პირველ ეტაპზე მოხდეს რუსთაველის ფონდის მართვის გადაცემა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისთვის, ამ ფონდის სახსრების თავიდანვე რაციონალური გამოყენება აღნიშნული სამეცნიერო ცენტრების მიხედვით. შემდგომში ფინანსირებაში ბიზნესისა და საერთაშორისო დონორ ორგანიზაციების ჩართვის კვალობაზე გაჩნდება პროგრამების განხორციელებით გაძლიერებული სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციების კლასტრის ტიპის სამეცნიერო დაწესებულებებად გარდაქმნის პერსპექტივა.

მიგვაჩნია, რომ შემოთავაზებული წინადადება მოითხოვს მის რეალიზაციასთან დაკავშირებული კონკრეტული საკითხების შემდგომ დამუშავებას საქართველოს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ერთობლივი ძალისხმევით.

მოქალაქეებისთვის

10 ნოემბერი - მეცნიერების დღი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი **ჯაბა სამუშია**.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი **დავით გურგენიძე**



საქართველოში მეცნიერების განვითარების მოდელი, მისი სამართლებრივი, ინსტიტუციური, ორგანიზაციული და ფინანსური მექანიზმები ჩამოყალიბების სტადიაშია, მეცნიერება ჯერ კიდევ ტრანსფორმაციული გამოწვევების გარემოშია. გამოსავალი ქვეყნისთვის საუკეთესო ვარიანტის მოძებნაშია, რომელიც ამ სფეროს ყველა მონაწილის დიალოგით შეიძლება იქნას მიღებული. თუ ამ დიალოგში ხელისუფლება, მეცნიერება, საზოგადოება წარმოდგენილი უშუალოდ მეცნიერებით ან/და სპეციალიზებული არასამთავრობო სექტორითა და პროფესიული ორგანიზაციებით, მეგობარი ქვეყნები და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები ერთობლივად და კოორდინირებულად ჩაერთვება. საქმარისია, რამდენიმე კომპონენტის გაერთიანებაც კი, რომ შედეგი მყისიერად დგება. გვაქვს ამის ნათელი მაგალითები. საქართველო რამდენიმე წლის წინ მიეკუთვნებოდა იმ ქვეყნებს, რომლისთვისაც ცირკულარული ეკონომიკა წარმოდგენილი იყო, როგორც რალაც შორეული მომავალი. საქმარისი იყო ჩამოყალიბებულიყო ხელისუფლების, მეცნიერების, დონორებისა და არასამთავრობო (მ.შ. ბიზნესსასოციაციების) სწორი დიალოგი, რომ საქართველო ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის გზას დაადგა. საქართველოს მთავრობის მიერ, მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების დანერგვის მიზნით, მიღებული ტექნიკური რეგლამენტები: ნარჩენი ზეთების მართვის შესახებ, საბურავების ნარჩენების მართვის შესახებ, ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების ნარჩენების მართვის შესახებ, ბატარეებისა და აკუმულატორების ნარჩენების მართვის შესახებ. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ უკვე გაცემული ავტორიზაცია მწარმოებლის გაფართოებულ ვალდებულებას დაქვემდებარებულ ორგანიზაციებზე. მთავარი ისაა, რომ განხორციელდა საქართველოს ეკონომიკის ცირკულარობის დონის შეფასება და შეიქმნა საფუძველი ცირკულარული ეკონომიკის განვითარების სტრატეგიის შესაქმნელად. ესაა ხელისუფლების (საქართველოს ცირკულარული ეკონომიკის შეფასებისთვის საქართველოს მთავრობის მიერ შექმნილი საკოორდინაციო საბჭოს (თავმჯდომარე აკად. **სოლომონ პავლიაშვილი**), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირის „ორქისი“ (ხელმძღვანელი ბიოლოგიის მეცნ.დოქტორი **მარიამ ქიქოძე**), უცხოელი და ადგილობრივი ექსპერტების, შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით ურთიერთთანამშრომლობის სინერგიული ეფექტი. პირველად განისაზღვრა საქართველოში ეკონომიკის ცირკულარობის ზომა და ეკონომიკურ პოლიტიკაში დაიწყო დომინანტი ნრფივი ეკონომიკის ცირკულარული ეკონომიკით ჩანაცვლების პროცესი ორიენტირებული ეკონომიკის მდგრად განვითარებაზე, ცხოვრების ხარისხის ამაღლებაზე.

2001 წელს UNESCO-ს ინიციატივით 10 ნოემბერი გამოცხადდა მეცნიერების საერთაშორისო დღედ. მეცნიერება გადაწყვეტ როლს თამაშობს ერისა და სახელმწიფოს მომავლის ფორმირებაში. ეს არის პროგრესის, ეკონომიკური ზრდის, კეთილდღეობის, მდგრადობის საფუძველი. მეცნიერება, თავისი არსით საფუძველია ქვეყნის წინსვლისა და განვითარების, ამიტომაც მნიშვნელოვანია საზოგადოების ჩართულობა სამეცნიერო დისკუსიებში. მეცნიერება ვერ იქნება კარჩაკეტილი, ის ემსახურება საზოგადოებას და საზოგადოება უნდა იყოს ინფორმირებული ახალ მიღწევებზე. დღევანდელ მსოფლიოში მეცნიერების პოპულარიზაცია ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა და მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი ახალი გამოგონებების, სამეცნიერო სიახლეების ნარმოვებასა და განათლებაში დანერგვა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ის ადგილია, სადაც დაიწყო ქართული მეცნიერების ფორმირება. უნივერსიტეტის დამაარსებლები, იმავდროულად, საქართველოში დარგების ფუძემდებლებიც იყვნენ. მათ ნაკვალევზე ათასობით მეცნიერი გაიზარდა, ამიტომაც უნივერსიტეტს ჰქონდა და აქვს უზარმაზარი როლი მომავალი მკვლევრების აღზრდაში. ინტერდისციპლინური კვლევები, მეცნიერებისა და ბიზნესის თანამშრომლობა ეს არის თანამედროვე გამოწვევა მეცნიერებისათვის. დღევანდელი სამეცნიერო მიღწევები წარმოუდგენელია ინოვაციური კვლევების ნახალისების, საერთაშორისო კოლაბორაციების ხელშეწყობის გარეშე. მსოფლიოს ნამყვანი სამეცნიერო ცენტრები აქტიურად თანამშრომლობენ ქართველ სწავლულებთან. ნამდვილად სასიხარულოა, რომ აღმოსავლეთ ევროპაში, მოსახლეობასთან შეფარდების მხრივ, ჩვენი ქვეყანა ერთ-ერთი ლიდერია საერთაშორისო პუბლიკაციების რაოდენობის კუთხით. საქართველო ამჟამად ყველა მიმართულებით მკვლევართა ძლიერი გუნდით! ვულოცავ სრულიად სამეცნიერო საზოგადოებას მეცნიერთა საერთაშორისო დღეს!

გულითადად ვულოცავ ჩვენი ქვეყნის სამეცნიერო საზოგადოებას, თითოეულ ღვაწლმოსილ მეცნიერს და ახალგზრდა მკვლევარს მეცნიერების დღეს მშვიდობისა და განვითარებისთვის, რომელიც 10 ნოემბერს მთელს მსოფლიოში UNESCO-ს ეგიდით აღინიშნება. განსაკუთრებით ვულოცავ ამ დღეს ჩვენს საამაყო ქართულ სამეცნიერო საზოგადოებას, რომლის მრავალსაუკუნოვანი ისტორია აღსავსეა მეცნიერთა გამორჩეული სახელებით, რომლებმაც უდიდესი წვლილი შეიტანეს მსოფლიო სამეცნიერო აზროვნების განვითარებაში. უამრავი კაცობრიობის მომავლის განმსაზღვრელი ინოვაცია იმ ქართველი მეცნიერების გენიის ნაყოფია, რომლებიც, გონების ძალით, წინ უსწრებდნენ თანამედროვეობას და ახდენდნენ კაცობრიობის ხვალისდელი დღის კონსტრუქციის ფორმირებას. დღესაც, ჩვენი ღვაწლმოსილი მეცნიერები, ახალგაზრდა მკვლევართან ერთად, დგანან მსოფლიო მეცნიერების განვითარების ავანგარდში და წარმოაჩენენ, რომ მეცნიერება არის ხიდი, რომელიც კაცობრიობის წარსულს მის მომავალთან აკავშირებს. ცოდნის დაუღალავად ძიების სურვილით ანთებული ეს ადამიანები უანგაროდ ემსახურებიან საზოგადოების განვითარებას, პროგრესს, მის უკეთეს, კიდევ უფრო წარმატებულ მომავალს. კიდევ ერთხელ, გილოცავთ ამ ღირსშესანიშნავ დღეს! მეცნიერება თავისუფალი, შემოქმედებითი ადამიანების არჩევანია და გისურვებთ ყველაზე გაბედული სამეცნიერო პროექტების წარმატებით განხორციელებას, თქვენი იდეებით შთაგონებული ნიჭიერი ახალგაზრდების სიმრავლეს და ახალი ჰორიზონტების მიღწევას სამეცნიერო-კვლევით მოღვაწეობაში!

2023 წლის ღაშკარაობები

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის გამომწვევად მეცნიერთა სახელობითი აკადემიური პრემიების 2023 წლის ღაშკარაობები:

ივანე თარხნიშვილის სახელობის პრემია ფიზიოლოგიისა და მედიცინის დარგში – მედიცინის მეცნ. დოქტორები **მანანა ივერიელი, ნინო აბაშიძე**, მედიცინის აკად. დოქტორები **ხატია გოგიშვილი, ნინო გოგებაშვილი** სახელმძღვანელო-სათვის – „პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დაავადებები“; **თამაზ გამყრელიძის სახელობის პრემია ლინგვისტიკის დარგში** – აკადემიკოსი **ავთანდილ არაბული** ნაშრომთა ციკლისათვის – „ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის კითხვები“;

კირიაკ ზავრივეის სახელობის პრემია სამშენებლო მექანიკის დარგში – ტექნიკის მეცნ დოქტორი, პროფ. **შალვა გაგოშიძე** მონოგრაფიისათვის „წყლის პერიოდულ ტალღურ მოძრაობათა გაანგარიშების ანალიზური მეთოდები“;

ლევან დეკაპრელევიჩის სახელობის პრემია კულტურულ მცენარეთა გენეტიკისა და სელექციის დარგში – სოფლის მეურნეობის აკად. დოქტორი **ნინო ჭანკვეტაძე** მონოგრაფიისათვის „ტოპინიშესუმირას კულტურა საქართველოში“;

შალვა ნუცუბიძის სახელობის პრემია ფილოსოფიის დარგში – ფილოსოფიის მეცნ. დოქტორები: **ირაკლი ბრაჭული, ვალერიან რამიშვილი, ანასტასია ზაქარაძე**, ფილოსოფიის აკად. დოქტორი **დემურ ჯალაღონია**, თეოლოგიის დოქტორი, დეკანოზი **ალექსი ქუტაშვილი** ნიგნებისათვის: „ანთიმოლოგიური შტუდიები – ტრადიცია და პერსპექტივები“, „ანთიმოზ ივერიელი – თხზულებები“ და „ანთიმოზ ივერიელის რჩეული თხზულებების სამეცნიერო (ქართული, რუსული და ინგლისური) პარალელური ტექსტების კრებული“;

გიორგი ნიკოლაძის სახელობის პრემია ქიმიური ტექნოლოგიების დარგში – მეცნიერებათა დოქტორი **თამაზ მარსაგიშვილი**, აკადემიური დოქტორები: **გრიგორ ტატიშვილი, ნათელა ანანიაშვილი, მანანა გაჩეჩილაძე, ელიზავეტა ცხაკაია, მარინე მაჭავარიანი** ნაშრომთა ციკლისათვის

„ცელულოზამემცველი ნარჩენებიდან ნახშირბადოვანი მასალების მიღება და მათი აპლიკაციები“;

ნიკო კეცხოველის სახელობის პრემია ბოტანიკის დარგში – აკადემიის წევრ-კორესპონდენტი **გიორგი ნახუცრიშვილი** ნაშრომთა სერია „კავკასიონის მაღალმთის მცენარეულობა“;

ევგენი ხარაძის სახელობის პრემია ფიზიკისა და ასტროფიზიკის დარგში – ფიზიკის აკად. დოქტორ **გიორგი მამაცაშვილი** ნაშრომთა ციკლისათვის „დისკ-ჯეტის სისტემის ნრფივი არამდგრადობები და არანრფივი დინამიკა“;

ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის პრემია გეოგრაფიის დარგში – გეოგრაფიის აკადემიური დოქტორები: **ნანა ბოლაშვილი, ვაჟა ნიძე, ანდრია დიტმანი, ლორენც კინგი** ნაშრომისათვის „საქართველოს ეროვნული ატლასი“ – „National Atlas of Georgia“.

ჯილდო მცენიერებაში წარმატებულთათვის

მეცნიერის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით, სამეცნიერო მიღწევებისათვის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საპატიო სიგელებით დაჯილდოვდნენ:

მედიცინის მეცნ. დოქტორი **ზაზა ავალიანი** (მედიცინა); ეკონომიკის მეცნ. დოქტორი **იური ანანიაშვილი** (ეკონომიკა); ეკონომიკის მეცნ. დოქტორი **გივი ბედიანაშვილი** (ეკონომიკა); ეკონომიკის მეცნ. დოქტორი **თეიმურაზ ბერიძე** (ეკონომიკა); ისტორიის მეცნ. დოქტორი **ლიანა ბითაძე** (ანთროპოლოგია); ბიოლოგიის აკად. დოქტორი **მედეა ბურჯანაძე** (ენტომოლოგია); ფილოსოფიის მეცნ. დოქტორი **ნანა გაფრინდაშვილი** (ფილოსოფია); ბიოლოგიის აკად. დოქტორი **ნინო გაგელიძე** (მიკრობიოლოგია); გეოგრაფიის მეცნ. დოქტორი **ვახტანგ გელაძე** (გეოგრაფია); ისტორიის მეცნ. დოქტორი **თემურ გვიმრაძე** (ისტორია); ტექნიკის მეცნ. დოქტორი **ზურაბ გვიმანი** (ტექნიკა); ფილოსოფიის მეცნ. დოქტორი **გიორგი გოგოლაშვილი** (ფილოსოფია); ისტორიის მეცნ. დოქტორი **თამაზ გოგოლაძე** (ისტორია); ბიოლოგიის მეცნ. დოქტორი **დავით თარხნიშვილი** (ბიომ-

რავალფეროვნება); ფიზიკა-მათემატიკის მეცნ. დოქტორი **ვახტანგ კვარაცხელია** (მათემატიკა); ფილოსოფიის მეცნ. დოქტორი **თამაზ კოჭლამაზაშვილი** (ფილოსოფია); ტექნიკის მეცნ. დოქტორი **ნახშიროლა კუციავა** (ქიმიური ტექნოლოგიები); ტექნიკის მეცნ. დოქტორი **ედუარდ კუხლაშვილი** (ჰიდრომელიორაცია); ტექნიკის მეცნ. დოქტორი **თამარ ლომინაძე** (ტექნიკა); პოლიტიკის მეცნ. დოქტორი **ვახტანგ მაისაია** (პოლიტოლოგია); პოლიტიკის მეცნ. დოქტორი **მალხაზ მაცაბერიძე** (პოლიტოლოგია); მედიცინის მეცნ. დოქტორი **ნაპოლეონ მესხია** (მედიცინა); მედიცინის აკად. დოქტორი **კახაბერ მეტრეველი** (მედიცინა); ფილოსოფიის აკად. დოქტორი **საბა მეტრეველი** (ფილოსოფია); ფიზიკა-მათემატიკის მეცნ. დოქტორი **თემურ მაჭარაშვილი** (გეოფიზიკა); მედიცინის აკად. დოქტორი **ნინო მუსხერიძე** (მედიცინა); ისტორიის მეცნ. დოქტორი **გოდერძი ნარიანიშვილი** (არქეოლოგია); აკადემიკოსი **სოლომონ პავლიაშვილი** (ეკონომიკა); ფსიქოლოგიის მეცნ. დოქტორი **რამაზ საყვარელიძე** (ფსიქოლოგია); ქიმიის მეცნ. დოქტორი **ნელი სიღამონიძე** (ქიმია); ისტორიის დოქტორი **გიორგი სოსიაშვილი** (ისტორია); ქიმიის აკად. დოქტორი **ლალი ტაბატაძე** (ქიმია); აკად. დოქტორი **ლევან ფიფია** (ინჟინერია); იურიდიულ მეცნ. დოქტორი **ბექა ქანთარია** (სამართალმცოდნეობა); ფიზიკა-მათემატიკის მეცნ. დოქტორი **ნანა შათაშვილი** (ფიზიკა); აკადემიკოსი **დავით შენგელია** (გეოლოგია); ისტორიის მეცნ. დოქტორი **დიმიტრი შველიძე** (ისტორია); ფიზიკა-მათემატიკის მეცნ. დოქტორი **ზვიად ნამალაძე** (საინჟინრო ტექნოლოგია); მედიცინის აკად. დოქტორი **გიორგი ნივნივაძე** (მედიცინა); ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი **ლეილა ხუსკვიაძე** (ხელოვნებათმცოდნეობა).

გამოცა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმის 2023 წლის 12 სექტემბრის №49 დადგენილებით. სპეცგამოცემა მოამზადეს: **მიხეილ ჯიბუტმა** და **ჯემალ დავლიანიძემ**; დაკაბადონება-დიზაინი: **პაატა ქორქია** მისამართი: 0108, ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. 52